ხობის მოამბე

№1 (7083) 28 აპრილი, პარასკევი, 2017 წელი

ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო

„თვითმმართველობა ულოგოსი ფასადია საქმის კეთებისა. საქმე უნდა გაირკვეს, იგი ყველამან სერიოზს... ყოველი სახელმწიფოები, თვისებრ ფასდი ცოდნა თუ ცოდნად დამეტყვინა, ნაწილი-ნაწილად ანის გაიყოფოდეთ, თუმ მოვდა და ანგრეულობა ადგილი იყოს.“

შეხვედრა დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში

25 აპრილს, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა საპარლამენტო უმრავლესობის წევრები მიიწვიეს. ახალგაზრდებმა დეპუტატებს მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით კითხვები დაუსვეს.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე პარლამენტის ხობის მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა. ყველა იმ სტუდენტს, რომელიც ცდილობს მიიღოს განათლება და სასწავლებელს, რომელიც ცდილობს უზრუნველყოს განათლება, გულშემატკივრობა გამოუცხადა.

განსაკუთრებით გამოყო სტუდენტები ხობის მუნიციპალიტეტიდან, რომლებიც სდასუ-ში სწავლობენ.

„თქვენ, როდესაც კარიერას მოიწყობთ ცხოვრებაში, თუ თქვენი გზები არ იქნება დაკავშირებული ჩვენს მუნიციპალიტეტთან, ხანდახან მაინც იზრუნეთ მასზე. ხანდახან მაინც იფიქრეთ და განახორციელეთ კონკრეტული პროექტები, ისევ და ისევ ხობის მიმართულებით“-მიმართა მათ ირაკლი (დაჩი) ბერაიამ.

როგორც საუბარში გაირკვა, სტუდენტების უმთავრეს პრობლემას გადაჭედილი მუნიციპალური ტრანსპორტი წარმოადგენს, რომელიც ლექციაზე დაგვიანების მიზეზი ხდება და აკადემიურ მოსწრებაზეც აისახება.

სტუდენტებში დიდი ინტერესი გამოიწვია კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის საკითხმა. ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელმა. აზარტული თამაშების რეგულირების აუცილებლობამ.

დეპუტატებმა დასმულ შეკითხვებს ამომწურავად გასცეს პასუხი და სტუდენტები პარლამენტის დასათვალიერებლად მიიწვიეს.

9 აპრილის ტრაგედიიდან 28 წელი გავიდა...

9 აპრილი, როგორც უდიდესი ტკივილისა და იმედის დღე ხობის მუნიციპალიტეტში პროგრამის მიხედვით სხვადასხვა ადგილას აღინიშნა.

1989 წლის 9 აპრილის მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დროს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, რუსთაველის ქუჩაზე შეკრებილი მანიფესტანტები საბჭოთა ხელისუფლებამ დაარბია და ათობით ადამიანი დახოცა. ამ დღესთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი და პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

შემდეგ მსვლელობა მოეწყო ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც 9 აპრილს დაღუპული ნათია ბაშალეიშვილის დედულეთი და მისივე სახელობის წყარო მდებარეობს.

მოსახლეობის კეთილდღეობისთვის

გია გვაძაბია, ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი.

5

განვლილ წელთა საგზაურად!

„აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკა“ ახალ შენობაში გადავიდა

4

წლის საუკეთესო პროექტი

(ინტერვიუ ლევან ჯობავასთან)

8

წარმატებები ისე არ მოდის...

(საუბარი თინეიჯერთან–ცოტნე გუჩუა)

10

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქრონიკები

6-7



12

პროფესორ პაატა ცხადაიას 80 წლისთავისთვის

კოლხეთის ტოპონიმიკის უზადო მკვლევარი

9

ჩვენს მუნიციპალიტეტში

გზების კეთილმოწყობის სამუშაოები გრძელდება

ქალაქ ხობში, კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩის კეთილმოწყობა მიმდინარეობს.

პროექტის მიხედვით 1100 მეტრ მანძილზე დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა მილხიდები, ეზოებში შესასვლელები და წყალსაწრეტი არხი. სამუშაო უახლოეს დღეებში დასრულდება.

2016 წელს ქალაქ ხობში, ექვს ქუჩაზე დაიგო ასფალტის საფარი, ხოლო მიმდინარე წელს კ. გამასახურდიას ქუჩის გარდა, კიდევ ექვსი ქუჩის კეთილმოწყობაა დაგეგმილი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია და საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში გზის რეაბილიტაციის სამუშაოს გაეცნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდნენ.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მცხოვრებლებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს.

სოფელ გიმოზგონჯილში 2.4 კილომეტრ მანძილზე დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა მილხიდები, ეზოებში შესასვლელები და დამონტაჟდება საგზაო ნიშნები.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება და მისი სახელშეკრულებო ღირებულება 630 ათას ლარს შეადგენს.

სამუშაოს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „შარა - გზამშენი პირველი“ ახორციელებს.

შიდასახელმწიფოებრივი გზის ხობი-ახალსოფელი-რკინიგზის სადგურის 10.5 კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და პროექტის საწყისი სახელშეკრულებო ღირებულება **5963000 ლარს შეადგენს.**

გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტ-ბეტონის საფარი, მოეწყობა: სახიდე გადასასვლელი, ხელოვნური ნაგებობები, ეზოების შესასვლელები, საგზაო ნიშნები;

სარეაბილიტაციო გზა იწყება ქ. ხობში, მდინარე ხობის ხიდთან, გაივლის სოფელ მეორე გურიფულს, გაღმა პირველ ხორგას, ახალსოფელს და მთავრდება რკინიგზის სადგურთან.

მსხვილმასშტაბიან ინფრასტრუქტურულ პროექტს, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის (SLRP III) ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება–საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ზენში გზის რეაბილიტაციის პროექტი დასრულდა. 3300 მეტრ მანძილზე დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო წყალსაწრეტი არხები, მილხიდები, ბორდიურები და ეზოებში შესასვლელები. ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, რომლის სახელშეკრულებლო ღირებულებამ 859141 ლარი შეადგინა.

გამრიცხველიანების პროექტი 1 ივლისამდე დასრულდება

ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტი აქტიურად მიმდინარეობს. დღეისთვის გამრიცხველიანებულია 19 ადმინისტრაციული ერთეული.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტს ახორციელებს.

ახალ ხიბულაში გამრიცხველიანდება 607 აბონენტი, შეიცვლება 31517 გრძივი მეტრი სადენი და დამონტაჟდება 397 ერთეული რკინა-ბეტონის საყრდენი ბოძი.

ადმინისტრაციულ ერთეულში გამრიცხველიანების პროექტი 1 ივლისამდე დასრულდება.

სოფელ საბაჟოში საერთო კრება ჩატარდა

ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ საბაჟოში, საბაჟოს საერთო კრების საინიციატივო ჯგუფის ინიციატივით დასახლების საერთო კრება გაიმართა.

კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამ დასახლებაში მცხოვრებლები.

საერთო კრებას ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის პირველი მოადგილე ვარაზ გაბედავა და გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ზაზა ბუკია ესწრებოდნენ.

–„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ ერთობლივი პროექტის–„სტუდენტები თვითმმართველობისთვის“ მონაწილეებს მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისთვის. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მუნიციპალიტეტში არაერთი მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება, ხოლო მთელი რიგი პროექტები მომზადების პროცესშია. საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით ბევრი კარგი საქმე გაკეთდება“,–განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

დასახლების საერთო კრება–ქალაქის (დაბის), სოფლის მოსახლეობის თვითორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის დასახლებაში მნიშვნელოვანი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტის პროცესში მოსახლეობის ქმედით ჩართულობას.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ირაკლი (დაჩი) ბერაიამ შეხვედრა გაიმართა

2017 წლის 15 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი წევრი ირაკლი (დაჩი) ბერაია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავასთან და გამგებელთან გოჩა ქაჯაიასთან ერთად, საკრებულოს წევრებს, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებს და თვითმმართველობის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების წარმომადგენლებს შეხვდა.

დეპუტატმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და ისაუბრა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებულ ღონისძიებებზე, განხორციელებულ პროექტებზე და სამომავლო გეგმებზე. მიმოიხილა ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. შეხვედრის დასკვნითი ნაწილი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

ხობში მრავალფუნქციური სპორტკომპლექსი შენდება

ქალაქ ხობში მრავალფუნქციური სპორტკომპლექსი შენდება. ყოფილი კინოთეატრის „თუთარჩელას“ შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ახორციელებს. სამუშაოების მიმდინარეობას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და გამგებელი გოჩა ქაჯაია გაეცნენ. სპორტულ კომპლექსში გათვალისწინებულია საჭიდაო მოედნის, ჭადრაკის დარბაზის, საბილიარდეს, ფიტნესდარბაზისა და საუნის მოწყობა. ქალაქ ხობში სპორტით დაინტერესებულ ადამიანებს საშუალება ექნებათ კეთილმოწყობილ გარემოში ივარჯიშონ და სპორტის მრავალ სახეობაში გამართონ ტურნირები. პროექტით გათვალისწინებულია დარბაზში ლითონის ფერმების მოწყობა და გადახურვა. თუნუქით გადაიხურება ასევე დანარჩენი შენობა. ფასადზე მოეწყობა ალუმინის ვიტრაჟები. მოწესრიგდება ელექტროგაყვანილობის, გათბობის და ვენტილაციის სისტემები. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს შიდა და გარე კანალიზაციისა და ბიოლოგიური გამწმენდის მოწყობის სამუშაოები. მშენებლობაზე, რომლის ღირებულება 2 500 000 ლარზე მეტია, 30 ადამიანია დასაქმებული. სამუშაოების დასრულება 2018 წლის გაზაფხულზე იგეგმება.

ნოჯიხევში წყლის მილის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ხობის მუნიციპალიტეტის ნოჯიხევის ადმინისტრაციულ ერთეულში 350 გრძივ მეტრზე დაზიანებული წყლის მილის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს. მიმდინარე სამუშაოები ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს.

განახლებული ცენტრალური სტადიონი

ხობში ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მთლიანად იცვლება ტრიბუნები, მონტაჟდება 4000 ინდივიდუალური სკამი, შენდება ადმინისტრაციული შენობა, სპორტსმენთა მოსასვენებელი ფლიგელი, საშხაპეები, იცვლება განათების და წყლის სისტემები. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ზურაბ ალავიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ლევან შონია და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები გაეცნენ. პროექტის განხორციელების შემდეგ მუნიციპალიტეტს სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების ჩატარების შესაძლებლობა ექნება. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსწავლე-ახალგაზრდობის სპორტულ აქტივობებში ჩართვას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 444 998 ლარით დაფინანსდა. სამუშაოები გასულ წელს დაიწყო და წელს დასრულდება. სამუშაოებზე ამჟამად 10 ადგილობრივი მცხოვრებია დასაქმებული.

ბენეფიციარებს ტრადიციული საღმრთო საჩუქრები გადასცეს

14 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ედიშერ ჯობავამ, გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ და პარლამენტის მაჟორიტარი წევრის ირაკლი (დაჩი) ბერაიას ბიუროს უფროსმა პლატონ (პაატა) ბერაიამ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით ქ.ხობის უმწეოთა სასადილოს ბენეფიციარები მოინახულეს, მათ მიულოცეს დამდეგი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და 120 ბენეფიციარს ტრადიციული სააღდგომო საჩუქრების პაკეტი გადასცეს.

გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმები მუნიციპალიტეტებში

31 მარტს ქ. ბათუმში გაიმართა კონფერენცია თემაზე, „ადგილობრივ თვითმმართველობაში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა“.

კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ხელმძღვანელი პირები.

მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა და მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია. საუბარი შეეხო გენდერული თანასწორობის სტრატეგიას, ამ მიმართულებით ჩატარებულ თუ ჩასატარებელ ღონისძიებებს.

კონფერენცია გახსნა ქ. ბათუმის მერმა გიორგი ერმაკოვმა, ქალთა საინფორმაციო ცენტრის დირექტორმა ელენე რუსეცკაიამ და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის მენეჯერმა მაკა მეშველიანმა.

შეხვედრა ორგანიზებული იყო ქალთა საინფორმაციო ცენტრის მიერ, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გაეროს ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში.

WWW.khobi-sakrebulo. ge.

განვლილ წელთა საგზაურად!

აფხაზეთიდან იძულებით გადმოხვეწის შემდეგ, ბუდეაყრილნი საკუთარ, ქართულ მიწა-წყალზე დევნილებად ქცეულნი, ქვეყნის თუ, უცხოეთის სხვადასხვა რეგიონებში ლტოლვილებად მიმოფანტულნი, სულითხორცამდე აფორიაქებულნი დავტირიროდით გაჩანაგებულ, ნაცარტუტადქცეულ აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებს, ვერაგი მტრის ხელით გავერანებულ ჩვენს წმინდა სალოცავებს. რუსი ოკუპანტებისგან უმოწყალოდ გამოყენებული ტყვიამფქვრევების მსხვერპლთ. ირგვლივ საზარლად მიმოფანტულ, დასახიჩრებულ ცხედრებს, მათ შორის მცირეწლოვანი ბავშვების გვამებს, რომელთა ამოცნობა სისხლით ნათესავებმაც ვერ შესძლეს.

გადმოხვეწილთა დიდი ნაკადი, თავდაცვითი ინსტიქტით გაუდგა გოლგოთის მძიმე გზას, სვანეთის ყველასთვის ცნობილ რთულგასავლელ სალ კლდეებს, საიდანაც მოთქმით ვარდებოდნენ ჩვილმკვდარი შვილის შემხედვარე, სიცოცხლეგამწარებული ახალგაზრდა დედები, ლასლასით მავალი შაოსანი, ძალღონე გამოლეული მოხუცები. იქ დაამთვარეს სიცოცხლე გზაზე პატივაყრილმა ქალბატონებმა. წარსული ისტორიის მწარე სიმართლეს ვერ გავექცევით...

ხობმა მიგვიღო, გვიმასპინძლა, დაგვაპურა და გვიწილადა აურაცხელი ადამიანური სითბო და სიყვარული, რაც საგზლად მოგვდევს მომდევნო წლებში.

თავისი არსებობის 22 წელიწადს ითვლის ხობში ფუნქციონირებადი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიკლინიკა.

თაოსანი მისი გახსნისა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ხობში კი, ხობის ადგილობრივი მმართველობის გამგეობის იმდროინდელი თავკაცი, ბატონი ანგულ მიქავა იყო.

მასპინძლის რანგში კი, ხობის ამბულატორიულ–პოლიკლინიკური გართიანების მთავარი ექიმი, ნეტარხსენებული ავთანდილ ლოლუა ბრძანდებოდა.

წლები გაილია, ჩვენს სანუკვარ ოცნებას, აფხაზეთში უკან მიბრუნებას, ასრულება ჯერჯერობით ვერ ეღირსა.

გადაუჭრელ პრობლემად, გაწელილ მოუნელებელ ტკივილად რჩებოდა პოლიკლინიკის უვარგის, ნანგრევებადქცეულ შენობაში 2010 წლის დასაწყისში გადამისამართდა, წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით. რომ არა, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის, ბატონი გოჩა ქაჯაიას, მისი მოადგილის ბატონი ვარაზ გაბედავას, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბატონი ედიშერ ჯობავას, ხობის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის დეპარტამენტის და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს პასუხისმგებელი მუშაკების თანადგომა, ხობში დევნილთა პოლიკლინიკა ფუნქციონირებას შეწყვეტდა.

აღნიშნულმა პასუხისმგებელმა პირებმა გაითავისეს დევნილი მედიკოსების გასაჭირი, ყურად იღეს პოლიკლინიკის არსებობის აუცილებლობა და გაიღეს აურაცხელი ადამიანური და მატერიალური რესურსი, რათა სამედიცინო მომსახურება გავაგრძელოთ პაციენტების საკეთილდღეოდ, ჩვენთვის გამოყოფილ, კაპიტალურ, გარემონტებულ, მიმზიდველ შენობაში.

პროფესიონალმა მშენებლებმა, თავისი საქმის ნიჭიერმა დიდოსტატმა, შენებლობის თავკაცმა, ბატონმა ზურაბ ჩიქოვანმა ძალღონე არ დაიშურა სარემონტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად დამთავრებისთვის. დაგელოცოთ მარჯვენა ჩვენთვის და ხობელებისთვის საყვარელო ადამიანებო! ზამთრის სუსხიან თვეებში ჩვენთვის უშურველად რომ გაისარჯეთ.

გაზაფხულის ულამაზეს აპრილის თვეში, შ.პ.ს. „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკის“ გახსნის ცერემონიალზე თბილისიდან ჩამობრძანდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე ქალბატონი მანონი გოგუა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ქალბატონი ქეთევან ბაკარაძე, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს პასუხისმგებელი პირები, ზუგდიდიდან კი ხელმძღვანელი მუშაკები. ვინც აღნიშნულ საქმიანობას არეგულირებდნენ და თვალყურს ადევნებდნენ პოლიკლინიკისა და სამეგრელოს რეგიონში ჩასახლებული დევნილი მოსახლეობის საკეთილდღედ.

პოლიკლინიკის საზეიმო გახსნის სანუკვარ დღეს სიხარულთან ერთად სინანულიც ახლდა აფხაზეთის მონატრების, მასთან სამუდამო შეხვედრის უსაშველო მოლოდინისა.

ძვირფასო „ხობის მოამბეს“ მკითხველებო! დაგბედებოდეთ ხობსა და მის სოფლებზე მზრუნველი, ჭეშმარიტი ადამიანების დღეგრძელობა, ვისაც თავიანთი ცხოვრების კრედოდ პატიოსნება, სამართლიანობა და კეთილი საქმეების წარმართვა მიაჩნიათ. მათ, ვისაც პირადულზე მაღლა საზოგადო საქმეების კეთება სურთ არა წარმოჩენისთვის, არამედ სხვათა საკეთილდღეოდ, ადამიანური მოვალეობის, კაცურ-კაცობის დასტურად წარუშლელი კვალის დატოვება სწადიათ, რომელზეც მათი შთამომავლობა ამაყად გაივლის, გნებავთ, საუკუნის გასაყარზეც.

წლების სიმრავლე, სულის სიმრთელე დაგანათლოთ უფალმა თითეულ თქვენთაგანს, ვისაც ხობის მუნიციპალიტეტის წინამძღოლობა, ობიექტური, კომპეტენტური საქმიანობა და შესაშური გულითადობით თითეული მოქალაქის თანადგომისა და გაჭირვებულთათვის დახმარების გაწევის უნარს გაზიარათ.

სვეტლანა გვათუა,
შ.პ.ს. „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკის“ დირექტორი.

24–30 აპრილი–ევროპის იმუნიზაციის კვირეული.

იმუნიზაცია გადაარჩენს სიცოცხლეს!

კვირეული ჩატარდება დევიზით „ვაქცინები მოქმედებს“,

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური ბიურო ბავშვთა ასაკის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელზე დაყრდნობით, უახლოვდება ვაქცინებთან მიმართებაში ევროპის რეგიონალური სამოქმედო გეგმის მიზნებს წითელასა და წითურას ლიკვიდაციის ჩათვლით.

ბევრი ადამიანი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად ინფორმირებული იმ დაავადებების შესახებ, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მათ ჯანმრთელობას და ასევე ვაქცინაციის შესახებ, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვას მართვადი ინფექციების მიმართ.

პროფილაქტიკური აცრები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია საქართველოში, რომელიც შეესაბამება როგორც ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ თავისებურებებს, ასევე ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს.

საქართველოს ჯანმრთელობის შესახებ კანონის შესაბამისად, 1996 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შერჩეულ ასაკებში იმუნოპროფილაქტიკის წარმოება. ბავშვთა გეგმიური იმუნიზაცია ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლენი არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეები. იმუნიზაციის პროგრამით მოსარგებლეებისთვის პროგრამით გათვალისწინებული ვაქცინებით და შრატებით უზრუნველყოფა და აცრა-ვიზიტების მომსახურება არ ითვალისწინებს მოსარგებლეთა მხრიდან თანაგადახდას. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა სრულად აფინანსებს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული 10 ვაქცინის შესყიდვას, ხოლო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ასევე სრულად არის დაფინანსებული კალენდრით გათვალისწინებული 12 დაავადების (ტუბერკულოზი, **b** ჰეპატიტი, დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი **b**, წითელა, წითურა, ყბა-ყურა, როტავირუსული და პნევმოკოკური ინფექციები) საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

იმუნიზაციის კვირეულის მიზანია, მოსახლეობის ცნობიერების და ინფორმირებულობის ამაღლება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ. ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის.

გადარჩენილ სიცოცხლეთა რაოდენობის თვალსაზრისით კაცობრიობა მედიცინის სხვა არცერთ დარგთან არ არის ისეთ ვალში, როგორც იმუნიზაციასთან.

იმუნიზაცია შესულია ყველა დროს უდიდეს სამედიცინო მიღწევათა ათეულში (პენიცილინი, რენტგენის სხივები, დნმ, ინსულინი, ანესთეზია და სხვა.)

აღნიშნულ ათეულში მეორე ადგილი უკავია ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, ხოლო მერვე ადგილი მორის ჰილე მანის მიერ შექმნილ წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო კომბინირებულ ვაქცინას.

მე-20 საუკუნის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის იმ მიღწევათა ათეულში, რომელთაც შეცვალეს კაცობრიობა (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა, ინფექციურ დაავადებათა კონტროლი, უსაფრთხო საკვები და გარემო, ოჯახის დაგეგმარება და სხვა) იმუნიზაცია იკავებს პირველ ადგილს.

ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა სახელმწიფო, სოციალური, ჰიგუნური და სამედიცინო ღონისძიებების სისტემაა, რომელიც გამიზნულია მოსახლეობის ჯანმრთელობის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად და დაავადებათა თავიდან ასაცილებლად. ამ სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს სფეროს დაავადებების სპეციალური პრევენცია–იმუნიზაცია წარმოადგენს.

დღეისთვის იმუნიზაცია ყოველწლიურად თავიდან გვაცილებს 2 მილიონიდან 3 მილიონამდე ადამიანის გარდაცვალების შემთხვევას.

მსოფლიოში 18–19 მილიონი ახალშობილი ჯერ კიდევ ვერ იღებს ძირითად ვაქცინებს.

ძირითადი გამომწვევებია, რესურსების ნაკლებობა, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში კონკურენტული პრიორიტეტები, ჯანმრთელობის დაცვის სისტემების ცუდი მართვა, პროგრამის მიმდინარეობის არასათანადო მონიტორინგი და ზედამხედველობა.

სახელმწიფო ბიუჯეტით შეძენილი ვაქცინები ძალზე მაღალი ხარისხისაა, უსაფრთხოა და გამოიყენება დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით. მოსახლეობა უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ვაქცინით. ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი უზრუნველყოფს ვაქცინებით მუნიციპალიტეტის სამედიცინო დაწესებულებებს უწყვეტ რეჟიმში.

ვაქცინები სათანადო ტემპერატურული რეჟიმის დაცვით ინახება ჯანდაცვის ცენტრის სამაცივრო დანადგარებში.

იმუნიზაციის კვირეულის მიზანია, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მოსახლეობას, მშობლებს აცრან და დაიცვან თავიანთი შვილები სხვადასხვა მართვადი დაავადებებისგან.

მუნიციპალიტეტის თითოეულ მოქალაქეს წლის ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართონ ტერიტორიულ სამედიცინო დაწესებულებებს, ხობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს, სადაც ისინი მიიღებენ ამომწურავ ინფორმაციას იმუნიზაციის შესახებ.

იმუნიზაცია გადაარჩენს სიცოცხლეს!

ჩვენ ვიცრებით, რათა გადავაჩინოთ ჩვენი მომავალი!

ჯუმბერ ტურავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ექიმი პროფილაქტიკოსი.

მოსახლეობის კეთილდღეობისთვის

გია გვაძაბია, *ხობის მუნიციპალიტეტის ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი.*

ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეული, ხობის მუნიციპალიტეტის დაბალ ზონაში, ჭალადიდის შემდეგ ერთ-ერთი დიდი სოფელია, როგორც ტერიტორიულად, ასევე მოსახლეობის რაოდენობით.

ლეგენდის მიხედვით, ძველად, როდესაც ეს ტერიტორია უსახელო და დაუსახლებელი ყოფილა, ახლანდელი ზემო ქვალონის ტერიტორიაზე ეკლესიის მახლობლად მწყემსებს თეთრი ქვის საბადო აღმოუჩენიათ და ამ ადგილისთვის „ქუალონი“ დაურქმევიათ, რაც ქვიან ადგილს ნიშნავს.

ახლანდელი ქვალონის ტერიტორია გაუვალი ტყითა და ჭანჭყრობით ყოფილა დაფარული. როგორც ჩანს, მის წარმოშობაზე და განვითარებაზე დადებითი როლი XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისი–ფოთის სარკინიგზო მაგისტრალის გაყვანამ ითამაშა. თითქმის ორი საუკუნეა რკინიგზა დიდ როლს თამაშობს, როგორც სოფლის, ასევე ამ მაგისტრალზე მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიურობაზე. ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო საშუალებაა ამ ზონის მოსახლეობისთვის.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქვემო ქვალონში პირველად ნიკო თურქიას, ქუთულა ჭანტურიას, ბათაყვა ჭანტურიას, მიქელა ჭანტურიას და გლახუა გრიგოლიას ოჯახები დასახლებულან. ახლა ქვალონში სხვადასხვა გვარის 913 კომლია 3010 მოსახლით. სოფელი გამორჩეულია მოსახლეობის ცხოვრების წესითა და განათლების დონით.

ქვემო ქვალონში ძირითადად მესაქონლეობას და მარცვლეული კულტურების მოყვანას მისდევენ. ხალხი შრომისმოყვარეა. შრომას თან ყოველთვის ბარაქაც ახლავს.

გლეხკაცისთვის მიწის დამუშავება უპირველისი საზრუნავია, მაგრამ ათეული წელია მიწის ფართობები სოფელში სანახევროდ არ მუშავდებოდა, საჭირო ტექნიკისა თუ თანხების უქონლობის გამო. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გლეხმა დაამუშავა ის ნასვენი მიწები, რომელთა დამუშავება მათ თავიანთი შემოსავლით ვერც წარმოედგინათ. დღეს გლეხს უფრო მეტი ყურადღების მიქცევა ესაჭიროება. მას უნდა შეეძლოს მინერალური სასუქის შესყიდვა ხელმისაწვდომ

ფასად, რაც ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს. სამუშაო ადგილები რომ იყოს და ახალი თაობაც დასაქმდეს. იმედია, ცხოვრება უფრო საინტერესო იქნება და თითოეული ოჯახი უფრო შეძლებული და ხვავიანი. თუ ოჯახი ძლიერია, სოფელიც ძლიერია. თუ სოფელია ძლიერი, ქვეყანაც ძლიერია, ასე, რომ საჭიროა ხალხზე მეტი ზრუნვა, რაც ქვეყნის საძლიერის ნიშანია.

გასული სამეურნეო წელი სამწლიანი პროგრამის ბოლო ეტაპი იყო. მან ხალხს მუშაობის სტიმული მისცა, მათ შეძლეს არამარტო მიწის მცირედი ნაწილის, არამედ წლობით დაუმუშავებელი მიწების დამუშავება. რაც ტექნიკის მომსახურებით იქნა შესაძლებელი. ხალხს დაურიგდა ბარათები, სადაც თანხა იყო ჩარიცხული მიწის დასამუშავებლად, საჭირო ხელსაწყოების შესაძენად. მართალია პროგრამა დასრულდა, მაგრამ იმედია, ხელისუფლება კვლავ მოიფიქრებს ხალხის საკეთილდღეოდ ახალ ისეთ პროგრამას, რაც გლეხკაცს არსებობის შესაძლებლობებს გაუმარტივებს.

ქვალონში ფუნქციონირებს ორი სკოლა–№1 საჯარო სკოლა (დირექტორი–ლუარა ყალიჩავა) და №2 საჯარო სკოლა (დირექტორი–ცისანა ცხადაია).

ქვემო ქვალონელთა გულგასახარად უნდა ითქვას, რომ წელს დაიწყება ქვალონის №1 საჯარო სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, რაც ბუნებრივია, სწავლის ხარისხზეც დადებითად იმოქმედებს.

სოფლის საექიმო ამბულატორიას ემსახურება ორი ექიმი: თერაპევტი ივლინა გრიგოლია და პედიატრი ლეილა კაკულია. ორი მედდა: რუსუდან ბანცაძე და დემაგულ გაგუა. მათ ემადლიერებათ სოფლის მოსახლეობა. სოფელში დროულად ტარდება ვაქცინაცია, აღრიცხულია ყველა ახალშობილი.

გასული წლის დასასრულს საბავშვო ბაღი (მთავარი სპეციალისტი–ელიანორა პაპავა) ახალგარემონტებულ ორ სართულიან შენობაში გადავიდა და აღიჭურვა თანამედროვე ტიპის ინვენტარით. ბაღში ორი ჯგუფია: 3-4 წლამდე 26 და 5-6 წლამდე 23 აღსაზრდელით. 2015 წლიდან ბაღი

ხობის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე გადავიდა.

სოფლში მრავალი კერძო მეწარმეა. მათ შორის პურსაცხობი შპს „ირაკლი“, რომელიც პურით ამარაგებს ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოსახლეობას და რაც მთავარია, ქვალონელები არიან დასაქმებულნი.

შპს. აგროკულტურას (მენეჯერი პაატა სირაძე)ქვალონის ტერიტორიაზე შესყიდული აქვს 350 ჰა მიწის ფართობი. შარშან დამუშავებული ჰქონდა 50 ჰა. მიწის ფართობი, დათესილი ჰქონდა ბოსტნეული და ბაღჩეული(ნესვი და საზამთრო) კულტურა. დასაქმებული ჰყავდა 50 ქვალონელი. წელს აპირებენ უფრო მეტი ფართობის დამუშავებას. უკვე დაწყებულია ფართობების შემოკავება და მათი დამუშავება. წელსაც აპირებენ უფრო მეტი ბაღჩეულისა და ბოსტნეულის მოსავლის მიღებას. იმედია, დასაქმებულთა რაოდენობაც გაიზრდება.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი თანხა, როგორც წესი, უნდა იქნეს გამოყენებული სოფლის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროების დასაფინანსებლად. შესრულებული სამუშაო მიმართული უნდა იყოს მხოლოდ საჯარო სარგებლობის ობიექტებისადმი, უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი გამოყენების ეფექტი და სამუშაო უმთავრესად შესრულებული უნდა იქნეს სოფლის მოსახლეობის მიერ.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით ჭითაუშკურის უბანში აშენდა მოსაცდელი, გვიმარონის უბანში მოხდა გზის ორმული შეკეთება, ასევე ქვალონის კულტურის სახლს გაუკეთდა რემონტი.

ჭითაუშკურის, ბულიშის, დურღენისა და გიმოზგონჯილის უბნებში ამოწმენდილი იქნა სანიაღვრე არხები. გვიმარონის უბანში ჩატარდა წყალსადენის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

გასულ წელს ასევე მოხდა ცენტრალური გზის მიმდებარე ობიექტებთან მისასვლელი გზის მოასფალტება.

თუ წელს ისევ გვექნება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გათვალისწინებული თანხა, იგი სოფლის მოსახლეობასთან ერთად იმ საქმეების შესრულებას მოხმარდება, რომლის აუცილებლობას ხალხი აირჩევს.

უმთავრესი, რაც ამჟამად კეთდება, მოსახლეობის წლობით ნაოცნებარის ასრულებაა. სოფელ გიმოზგონჯილში 2.4 კმ-ზე მიმდინარეობს ქვალონი–ხობის დამაკავშირებელ გზაზე ასფალტის საფარის დაგება, ხიდბოგირების, მილხიდების, ეზოებში შესასვლელების გაკეთება. დამონტაჟდება საგზაო ნიშნებიც.

გზის მშენებლობას შპს. „შარაგზამშენი პირველი“ აწარმოებს (დამფუძნებელი **გივი შენგელია**, დირექტორი **გულადი ბერაია**).

აქვე არ შეიძლება არ გამოვხატო ხალხის მადლიერება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ბატონ გოჩა ქაჯაიას, ბატონ ედიშერ ჯობავას, ჩვენი სოფლის მკვიდრის გამგებლის მოადგილის ბატონ ვარაზ გაბედავას და მუნიციპალიტეტის დეპუტატის, ფრაქციის თავმჯდომარის ბატონ ტარიელ ალექსანდრიას მისამართით. მათ ყველა შესაძლებელი გააკეთეს, რათა სოფელში ეს პროექტები განხორციელებულიყო.

ბედნიერი ვიქნები, როცა ჩემი სოფლის მოსახლეობას მათი შვილების კეთილდღეობისთვის, უკეთესი მომავლისთვის ნორმალური პირობები ექნებათ...

ჩემი სურვილია, ვაკეთო კეთილი საქმე სოფლისა და საქართველოს საკეთილდღეოდ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქრონიკები

3 მარტი მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში, დედის დღესთან დაკავშირებით მოსწავლეებმა ცენტრის ადმინისტრაციასთან და ჯგუფის ხელმძღვანელებთან ერთად დედებს სიურპრიზი მოუწყვეს. კედელზე გამოფენილ ნამუშევრებს შორის იყო ამ დღისთვის სახელდახელოდ შექმნილი კედლის გაზეთი, სადაც მოსწავლეებმა დედებს სურვილები დაუწერეს.

ბოლო აკორდი ჩახუტება და ყვავილები გახლდათ.

5 აპრილს ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ჩატარდა **„ეტალონის“ მორიგი ინტელექტ-ჩემპიონატი, სადაც „ხობის ეტალონი მოსწავლე“ გამოვლინდა.**

სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის“ შემოქმედებითი გუნდი, წამყვანთან, გოჩა ტყეშელაშვილთან ერთად ხობს სტუმრობდა.

ინტელექტ-შეჯიბრში ხობის სკოლებიდან „ეტალონის“ შესარჩევ ტურში გამარჯვებული 74 მოსწავლე მონაწილეობდა.

ღონისძიებას საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგეობის კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი როზეტა შულაია, განათლების რესურსცენტრის უფროსი ბეატრისა რუსია, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ- საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორი ბორის ბერაია და დირექტორის მოადგილე ხათუნა ხორავა, სკოლის წარმომადგენლები, დირექტორები, პედაგოგები, მოსწავლეები და მათი მშობლები ესწრებოდნენ.

შეჯიბრში გამარჯვებულს „ხობის ეტალონი მოსწავლის“ ტიტული მიენიჭება და ის გაზაფხულზე, ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის გრანდიოზულ ფინალში მიიღებს მონაწილეობას.

„ეტალონი“ 2016-2017 სასწავლო წელს საქართველოს ყველა ქალაქსა და მუნიციპალიტეტს ესტუმრება და ადგილზევე გამოავლენს „ეტალონ მოსწავლეებს“.

პროექტის მხარდამჭერია დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.

ინტელექტ-თამაშის გამარჯვებული გახდა ხობის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლე მე-11 კლასელი ირაკლი ჯანაშია (დირექტორი ქეთევან გაბისონია).

მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს! ამ სათაურით დაუნის საერთაშორისო დღეს ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრიც შეუერთდა. მოსწავლეებმა მუნიციპალიტეტის ქუჩებში ტრანსფარანტებით, ფერადი ფლაერებით მსვლელობა მოაწყვეს. მათ შემოუერთდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს წევრები, მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის წარმომადგენლები. მოგვიანებით მოწვეული საზოგადოებისთვის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ცენტრის ფსიქოლოგმა გურამ კვიკვინიამ ლექცია თემაზე–„დაუნის სინდრომი და საზოგადოება“ ჩაატარა.

„9 აპრილი და თანამედროვეობა“

ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის სპეციალისტმა ***ნინო გერგაიამ*** *ჯგუფის წევრებთან ერთად მოამზადა პროექტი თემაზე „1989 წლის 9 აპრილი“. მოსწავლეებმა მოიძიეს ინფორმაციები 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ, ასევე, 9 აპრილის თემაზე დაწერილ ლექსები და სიმღერები, გააკეთეს კედლის გაზეთი. მოსწავლეები გაეცნენ საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას მე-20 საუკუნის 80-90იან წლებში. 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზებსა და შედეგებს. როგორ იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, როგორი იყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობა საქართველოში.*

ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის შეურიგებელი ბრძოლის მაგალითები, ჩვენი წარსულიდან. პროექტზე მუშაობისას მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ ინფორმაციის მოძიებისა და გააზრების, ლოგიკური აზროვნების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი. გაიმდიდრეს ცოდნა 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით.

პროექტზე მუშაობამ დაგვანახა, რომ მოსწავლეთა მოზიდვისა და მეტი ჩართულობის მიზნით საჭირო იყო რაღაც ახლის დამატება და ეს ახალი იყო ესეების კონკურსი თემაზე „9 აპრილი და თანამედროვეობა“ რომელსაც კურატორობა გაუწია ცენტრის პროექტების მართვის სპეციალისტმა ლელა ალანიამ. კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ხობის №2, ესტატე შუშანიას სახელობის სოფელ პირველი მაისისა და ხამისკურის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

პროექტის ფარგლებში მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში დასკვნითი ღონისძიება მოეწყო, მოლიცლიცე სანთლების შუქზე, ცხრა აპრილის კადრებისა და უკვდავი მელოდიის „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“-ს ფონზე, კონკურსანტებმა წარმოადგინეს თავიანთი ნაშრომები. ღონისძიების დასასრულს გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

*I ხარისხის დიპლომი მიიღო–**ნიკა ვადაქარიამ**. (ხობის მე-2 საჯარო სკოლა);*

*II ხარისხის დიპლომი–**ლუნა ჭაჭიამ**. (ხობის მე-2 საჯარო სკოლა);*

*III ხარისხის დიპლომი–**გიორგი ჭითანავამ** დაიმსახურა (პირველი მაისის საჯარო სკოლა).*

*ჟიურის გადაწყვეტილებით, ხობის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე **ირაკლი შონიას** გადაეცა დიპლომი ანალიტიკური აზროვნებისთვის.*

გამარჯვებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სამახსოვრო პრიზებით, ხოლო ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი.

*ღონისძიებას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **დოდო გაბუნია,** გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **როზეტა შულაია**, კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის დირექტორის მოადგილე **ხათუნა ხორავა** და მოწვეული სტუმრები.*

გთავაზობთ კონკურსში „9 აპრილი და თანამედროვეობა“ გამარჯვებულ ესეებს.

ნიკა ვადაქარია ქ.ხობის 2 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

გამარჯობა, როგორ ბრძანდებით. მე კარგად ვარ. ვსუნთქავ, ვფიქრობ, ვწერ, ვსაუბრობ. შეიძლებოდა პირველი სიტყვა რუსული „ზდრავსტვუიწეთი“ დამეწყო და ასევე რუსულად გამეგრძელებინა, რომ არა ის დღე... აი, ის დღე რუსთაველი რომ სისხლით მოირწყა. რომ არა ის დღე, მე ახლა რუსულად ვისუნთქებდი, რუსულად ვიფიქრებდი, რუსულად დავწერდი ამ ყველაფერს და რუსულადვე ავჭიკჭიკდებოდი. რომ არა ის დღე, ამას საერთოდ არ დავწერდი. რომ არა 9 აპრილი, არ იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველოც.

ბარების ბასრი პირები წითლად შეიღება. ყველაფერი გაწითლდა. ქვაფენილების ჭრილებში ღრმად ჩაჯდა ქართული სისხლი. იმ სისხლის კვალს დღეს ვერ ვნახავთ, ამაზე წვიმამ და დრომ იმუშავეს კარგად. კვალი წაშალეს, მაგრამ ჩვენ გულებში არაფერი წაშლილა.

მე 16 წლის ვარ. არ ვყოფილვარ იქ, სადაც ქართველებმა თავი შესწირეს. არ ვიცი მაშინ როგორი ნიავი ქროდა და არც ის ვიცი, რისი სუნი ტრიალებდა ჰაერში, მაგრამ წარმოვიდგენ... ყველაფერს ერთსულოვნების სუნი ასდის. ხალხი ერთად დგას. ერთი სული სხვა და სხვა სხეულებშია მოქცეული, უამრავი ადამიანის სხეულში. ყველა ერთი მიზნისთვის იბრძვის. არავინ ფიქრობს სიკვდილზე. ისინი ხომ ერთმანეთის გვერდით არიან. რისი უნდა ეშინოდეთ?! არავინ მოკვდება. საქართველოს დამოუკიდებლობას მოიპოვებენ და ყველანი სახლებში წავლენ, გააგრძელებენ ცხოვრებას დამოუკიდებელ საქართველოში. მათი სახეები ისეთი მრავალფეროვანია. ერთდროულად დაინახავთ სიხარულსაც, შემართებასაც და აღტაცებასაც... მაგრამ შიშს ვერა. შიში არ გვჩვევია ქართველებს. ქალები, ბავშვები, კაცები. მათი სახის ქართულ ნაკვთებს მალე მომწამლავი აირი მოედებათ, მათ კი, ეს არ იციან. არც წინათგრძნობა აქვთ ცუდი. ვიღაც ქალი ფანდურით ხელშია. რაღაცას მღერის, რაღაც ძალიან სასიამოვნოს და ჟურუნტელისმომგვრელს. სიტყვები, რომც არ გესმოდეთ მაინც შეგძრავთ. სიმღერაში უკვე შიში იგრძნობა. ძნელად შესამჩნევია, მაგრამ მაინც იგრძნობა. ტანკები მოდიან. ჯარისკაცები ნიჩბებით. აქ იბადება შიში თითოეული ადამიანის გულში. არ იმჩნევენ, არ უნდათ რომ შეიმჩნიონ. თუ არ გეშინია ადამიანი არ ხარ! ბარების მჭრელი პირების ბრჭყვიალი მათკენ მოიწევს. ახლა ყველაფერი შეიცვლება. ქალი ფანდურით სიმღერას შეწყვეტს, ადამიანები ერთმანეთს ხელებს ჩაკიდებენ და ბედს შეეგუებიან. არ მიდიან. აქ იქნებიან მანამ, სანამ საქართველო არ გაიმარჯვებს. რუსული ბარები მათ სხეულებს უახლოვდება. ჭრის, ტკივილს აყენებს მათ. მაგრამ სულებს ვერ დაუზიანებენ. გამარჯვების სურვილს ვერ დაუზიანებენ, გულებს ვერ აატკივებენ. სისხლის წვეთები ქვაფენილზე მიიკვლევენ გზას, სადღაც გარბიან... ამ ყველაფერს წარმოვიდგენ და მზარავს. მზარავს ის სისხლის წვეთები და ის ტკივილი. მზარავს მაგრამ მაინც ვწერ ამ ყველაფერს და ბედნიერი ვარ რომ ამ სიტყვებს ქართულად ვძერწავ. წინადადებებს ქართულად ვადგენ და არა რუსულად. ბედნიერი ვარ რომ საქართველო არსებობს. მე ქართველი ვარ! მე დამოუკიდებელ საქართველოში ვცხოვრობ! რა შემიძლია გავაკეთო იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ქართველად ყოფნის და დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრების საშუალება მომცეს?! მათი სახელები იცოცხლებს ჩემ გულში, სანამ მე ვიცოცხლებ და სანამ ჩემი შთამომავლობა გაგრძელდება, სანამ სახელი საქართველო იარსებებს და სანამ ერთმანეთს „გამარჯობათი!“ მივმართავთ.

კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ ეს სიტყვა: „გამარჯობა!“ ტანში ჟრუანტელი მივლის და ვამაყობ. გამარჯობა! გამარჯობა! გამარჯვება ჩვენ!

7

მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქრონიკები

„9 აპრილი და თანამედროვეობა“

6

ლუნა ჯაჯია

ქ.ხობის 2 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე.

9 აპრილი, დღე, რომელიც საქართველოს ისტორიაში შავი ასოებით ჩაიწერა, თითქოს გუშინ ისმოდა რუსთაველზე სირენების გაბმული ხმა, გამზირი სავსე იყო იმ ადამიანებით, რომლებიც თავიანთი ნების სახალხო დემონსტრირებას ახდენდნენ, თითქოს გუშინ ჟღერდა უსინათლო ქალბატონის მიერ შესრულებული „შავლეგო“ მერაბ კოსტავას თხოვნით და ამით ის ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ საქართველოს ამხნევებდა, მაგრამ ამ გუშინდელ დღემდე სულ რაღაც 28 წელი გვაშორებს, სწორედ 28 წლის წინ დატრიალდა ტრაგედია რუსთაველის გამზირზე, იმ რუსთაველის წინ დღეს რომ მშვიდად გადმოჰყურებს საქართველოს ბედს, ვინ დაითვლის სისხლის ყოველ წვეთს, რომელიც ქართველმა დაღვარა ამ საბედისწერო მიტინგის მსვლელობისას, სამხედროები იყენებდნენ ხელკეტებს, ორლესულ მახვილებს, მომწამვლელ გაზს, ოღონდ კი ჩაეხშოთ იმ ხალხის ხმა, რომლებიც დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, რუსეთი ხომ ხმამშობია, ის ისეთი ძალაა, რომელიც ახშობს ანტისაბჭოურ გამოძახილებს და თავისუფალი ნების ყოველგვარ გამოვლინებას, მაგრამ იმედი, რწმენა, ეს ის იარაღი იყო, რომელსაც ქართველები იყენებდნენ ამ უთანასწორო ბრძოლაში მოწინააღმდეგესთან გასამკლავებლად, თუმცა სისხლიანმა დაპირისპირებამ კიდევ უფრო შეუპოვარი გახადა ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, 9 აპრილის მოვლენებმა ცხადჰყო, რომ თავისუფლება ის ფენომენია, რომლის გარეშეც ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია და ყოველთვის აქვს აზრი თავისუფლებისთვის ბრძოლას, თუ ფსიქოლოგიურად განვსაზღვრავთ აქციის მონაწილეთა მდგომარეობას, მივხვდებით, რომ თითოეული მათგანი: ახალგაზრდები, სკოლის მოსწავლეები, მანდილოსნები, მათ შორის ორსული ქალბატონი და სხვანი, აანალიზებდნენ იმას, თუ რა რისკის წინაშეც ისინი დადგნენ და იცოდნენ, რომ რუსეთის უკომპრომისო ხელისუფალი ჩვეულ მექანიზმს აამუშავებდა და შეეცდებოდა ძალადობრივი მანერებით შექმნილი ვითარების გამოსწორებას ყველა ფასად, მიუხედავად ამისა, ქართველი პატრიოტები არ შეუშინდნენ დაბრკოლებას და ქვეყნისთვის გააკეთეს ის მაქსიმუმი, რაც ადამიანს შეუძლია გააკეთოს სამშობლოსთვის, მათი თავგანწირვა, მართლაც, რომ დასაფასებელია, ამგვარი ქმედება სამაგალითოა 21-ე საუკუნის საზოგადოებისთვის, მაგრამ საკითხავია თუ დღეს ამგვარი მოვლენების გამეორებამ იჩინა თავი, როგორ მოიქცევა ნებისმიერი ახალგაზრდა, ხვალ რომ 9 აპრილი იყოს, მე აქციაზე აუცილებლად წავიდოდი, რადგან პატივს ვცემ ადამიანურ ღირებულებებს და ამ ფასეულობათა დარღვევასა და შეზღუდვას პროტესტით შევხვდები. მე შეიძლება გავაკეთო ბანერები საპროტესტო წარწერებით, შევუერთდე შეძახილებს, მაგრამ საკითხავია თუ როგორ მოვიქცევი სამხედრო ძალის დანახვისას, გავუწევ თუ არა მათ წინააღგმდეგობას სისხლის ბოლო წვეთამდე ისე როგორც მაშინდელი საზოგადოება მოიქცა, როდესაც ისინი სიკვდილს ფეხაკრეფით კი არ გაექცნენ, არამედ მას წინ შეეგებნენ, ისინი ხომ თავისუფალი სიტყვის გამოხატვის გამო აჩეხეს, ამ ყველაფერზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ ქართველი ხალხი ისეთი ერთიანი როგორც 1989 წლის 9 აპრილს არასდროს არ ყოფილა. მართალია 28 წელმა ბევრი რამ შეცვალა, თუმცა არ შეცვლილა რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომელიც ეროვნული თვითშეგნების დაკნინებისკენაა მიმართული, მაგრამ დღეს ჩვენი თანამედროვენი რუსულ ძალას ხერხით ებრძვიან, საქართველო მიერთებულია ისეთ კონვენციებსა და აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი. უახლოეს მომავალში არამგონია, განმეორდეს ისეთი რამ, რაც 9 აპრილს დატრიალდა, საქართველო სრულიად განსხვავებული მეთოდებით უმკლავდება აგრესორს, მაგრამ ბრძოლის ეს განსხვავებული მეთოდები არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში ხმალს არ აიღებს ხელში, პირიქით ის ყოველთვის იბრძოლებს იმ მთავარი ღირებულებისთვის, რასაც ზვიად გამსახურდია სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს მისი სიტყვებით, „დამოუკიდებლობა ხომ ერის ზნეობის გადარჩენაა და, ამდენად, თვით ერის გადარჩენაც“.

გიორგი ჯითანავა,
ესტატე შუშანიას სახელობის ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე.

მრავალტანჯულ საქართველოს სულსა და სხეულს სამუდამოდ დააჩნდა სხვა ჭრილობებთან ერთად კიდევ ერთი მძიმე ჭრილობა 1989 წლის 9 აპრილს, როცა უმოწყალოდ დაჩეხეს და მოწამლეს მშვიდობიანი მანიფესტაციის მონაწილენი, მხოლოდ იმისთვის, რომ თავიანთი სამშობლოს მთლიანობა, ერთიანობა, თავისუფლება სურდათ და გულისწადილი საჯაროდ, ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად გამოხატეს. საჯაროების ვითარებაში ამგვარი მანიფესტაცია არავის უნდა გაჰკვირვებოდა, მით უფრო სისხლში არ უნდა ჩაეხშოთ სამშობლოს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. მას შემდეგ, რაც ფარდა აეხადა ბნელით მოცულ, საგულდაგულოდ მიჩქმალულ და გაყალბებულ უახლოეს ისტორიას, როცა ყველასთვის აშკარა გახდა, რომ ჩვენი ერთა კავშირი ნებით კი არა, ძალით ყოფილა შეკოწიწებული, რომ ჩვენი ყოფისთვის დემოკრატია და სამართლიანობა კი არა, ტერორი, ძალადობა, განუკითხაობა, კორუფცია, ხალხის ინტერესების უგულებელყოფა ყოფილა დამახასიათებელი, რომ სახელმწიფოს გონიერი და სამართლიანი კი არა, დიქტატორული ამბიციებით შეპყრობილი დიდი თუ პატარა ხეპრე ბელადები და ხელმძღვანელები მართავდნენ,საკუთარი გასაგები უნდა ყოფილიყო ხალხის უსაზღვრო გულისწყრომა, რა ფორმითაც არ უნდა გამოხატულიყო იგი, თუნდაც მრავალათასიანი საპროტესტო მანიფესტაციებით, მაგრამ ვერ გაიგეს, ან იქნებ განგებ არ გაიგეს. მოთმინების ფიალა აავსო იმან, რომ ქართველ ხალხს სწორედ ის დააბრალეს, რაც არასოდეს ახასიათებდა თავისი არსებობის ათასწლეულების მანძილზე–სხვა ერების შეუწყნარებლობა. ქართველ ხალხს სწორედ იმის წართმევა მოუნდომეს, რასაც შეალია თავისი ძალა და ღონე, რაც არასოდეს დაუთმია და ცოცხალი თავით არც არასოდეს დათმობს. კომუნისტებმა საქართველოს–ჩვენი სამშობლოს მიწა-წყლის დაქუცმაცება განიზრახეს. სწორედ 9 აპრილს აჟღერდა მთელი ძალითა და სიმართლით დიდი გალაკტიონის პოეტური მანიფესტი: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა,“ სწორედ ამ წყურვილმა გამოიყვანა ხალხი ქუჩებში. ამ წყურვილის ჩახშობა მოინდომეს რესპუბლიკის თუ ცენტრის უგუნურმა და ბოროტმა ძალებმა, შემდეგ კი სამშობლოს დაცვისათვის ქუჩებში გამოსულ ხალხს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალურმა კავშირმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სამძიმარში ექსტრემისტულ, ანტისაზოგადოებრივ და პროვოკაციულ მოძრაობად მოიხსენიეს. ისინი წერდნენ: „9 აპრილს ღამით ქალაქ თბილისში მთავრობის სახლის მოედანზე ექსტრემისტი, ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მიერ პროვოკაციულად გამოწვეულ უწესრიგობათა აღკვეთის დროს დაშავდა ადამიანთა ჯგუფი სამოქალაქო პირთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 კაცი...“ თანდათან უფრო გაიზარდა დაღუპულთა რიცხვი.

გოდება გვმართებს უმანკო მსხვერპლთა გამო, მაგრამ ნუგეშად ის გვრჩება, რომ მათი სისხლი ტყუილუბრალოდ არ დაღვრილა, იგი საქართველოს ერთიანობის, ეროვნული სიმტკიცის დუღაბად იქცა. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობა სწორედ ასეთი ხალხის თავდადების ნაყოფია. ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენც და ჩვენს შთამომავლებსაც. დღეს ქართველი ხალხი თავისუფალია, დამოუკიდებელი. თუმცა კიდევ არის იმის მცდელობა, რომ რუსეთმა დაიბრუნოს ჩვენი ქვეყანა... თუ ჩვენ ერთად ვიქნებით, მტერი ვერ დაგვამარცხებს... ძალა ერთობაშია, არ უნდა განმეორდეს წარსული... გვიყვარდეს ერთმანეთი... ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები...

„ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა...“

ქართული ენა ქართველი კაცისთვის სათუთი და ძვირფასი განძია, 14 აპრილი სხვა ღირსსახსოვარ დღეთა შორის არანაკლებ ღირსსახსოვარი და სათაყვანებელი...

„ხმათა ხავერდების და ღმერთების“ ენის დღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მხატვრული კითხვისა და ლიტერატურათმცოდნეობის ჯგუფის მოსწავლეებმა, (ჯგუფის სპეციალისტი მაია კუჭავა) ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ფარნავაზ მეფის ანბანი, შემოუნახავს ამ მთაბარს!“ –მიუძღვნეს.

ჰიმნი დედა ენას–მუსიკის ფონზე სცენაზე პირველი ქართული ანბანის პირველი ასო ა–ნინო ალშიბაია წარსდგა. შემდეგ კი...

–„ჩამომწკრივდით?! ნახეთ, გული მოსალხენი, ოცდაცამეტნი ვართ, სულ დები და ძმები!“

–„სამი ღვთაებრივი რამ დაგვრჩა მამა-პაპათაგან: „მამული, ენა, სარწმუნოება, თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რანი ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას...“

–„კრულია მისი სახელი, ვინც დასთმობს დედაენასა.“

–„გულს მისვენია ხატადა, ენა მთისა და ბარისა!“

–„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს!“–ქართული ენის საფერებლად დაწერილი ლექსის კითხვაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ქეთევან და ქრისტინე ალექსანდრიები, კესო კობახიძე, ნიკა კორტავა, ნია და ანანო ქალდანები, ანა ჯინჯოლავა, მარიამ ქარჩავა, ლიზი და ანასტასია ფაჩულიები.

–„ენა ქართული დედაა ჩვენი! ენა ქართული ძალაა ჩვენი!“

–„ენა ქართული მადლი ზეცისა, შემონახული ცეცხლით და შანთით!“

–„დედაო ენავ! დედავ და მამავ! ენათა ენავ! ნანათა ნანა!“–ენის სიყვარულის გამოხატვაში ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს ანი და ნია ჟვანიები, ლიზა შურღულაია, მარიამ ლომსაძე, მაკრინე ქირია, ლალი ლომთაძე, ირინკა თხილაიშვილი, ნინო ფაჩულია, ელენე ჯობავა, ნინი ტყეებუჩავა, ნიკა დანელია, მეგი ბიგვავა, თეკლა ბოჭორიშვილი.

ბავშვებს არც იმის აღნიშვნა დავიწყნიათ, რომ მსოფლიოში ერთაერთი განუმეორებელი შემთხვევაა, როცა დედა ენას ძეგლი დაუდგეს და ეს სწორედ საქართველოშია.

„ენა ჩვენს ქოხში ჩვენ
შევიფერეთ,
კარგად თუ ავად ჩვენ მას
ვინახავთ
და მის სიკვდილით არ
გაგახარებთ!“

ჟურუანტელისმომგვრელად მოეფინა დარბაზს ნია ქალდანის მიერ წაკითხული ილიასეული სტრიქონები!

–გვიიმედე საქართველო!–ამ სულისკვეთებით დაასრულეს წრის მოსწავლეებმა „საქართველოს მთებში“ გაჩენილი ენის სადიდებელი ერთი ლამაზი დღე და დაგვიტოვეს რწმენა, რომ სადაც არ უნდა იყვნენ, მყარად დადგებიან ხატზე საფიცარი და სავედრებელი, ალგეთს ლეკვების გამზრდელი ენის სიწმინდის დარაჯად, რომ „ქართული მარტო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენაა, ღმერთია, ბედისწერაა, ზღვა როა, იმოდენაა!“

დედამიწა ჩვენი საერთო სახლია

დედამიწის საერთა-შორისო დღესთან დაკავშირებით მხატვრული კითხვისა და ლიტერატურათმცოდნეობის წრის პირველი ჯგუფის მოსწავლეებმა კვირის ბოლო მეცადინეობა დედამიწის დღეს მიუძღვნეს.

მოსწავლეებმა გაიგეს, სად და როდის აღნიშნეს ეს დღე პირველად, რომელ წელს შეუერთდა საქართველო აქციას.

ისაუბრეს ეკოპრობლემებზე და დაძლევის გზებზე, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია და ზრუნვით და გაფრთხილებით დავეხმაროთ ბრუნვაში.

გვერდები მოამზადა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრმა.

სპორტი

ქრონიკები

წლის საუკეთესო პროექტი

მისი ფესვები ხობს უკავშირდება. დედა ქეთევან ბუკია და მამა ზაზა ჯობავა ხობელები არიან. მისი ბაბუები და ბებიები (ორივე მხრიდან) ძალიან ცნობადი სახეები გახლავთ ხობელებისთვის–კარლინგ ჯობავა, ლიანა ჩაჩიბაია. იური ბუკია... თავად ლევანი თბილისელია. დაამთავრა თბილისის 57-ე საჯარო სკოლა, თეატრალური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდ „ინტერნიუსში“, ტელეკომპანია „იმედში“ და ამჟამად მუშაობს საზოგადოებრივ მაუწყებელში.

მინდა გიამბოთ იმ წარმატებულ პროექტზე, რომელშიც ლევან ჯობავამ დიდი წვლილი დაიდო და უდიდეს წარმატებასაც მიაღწია.

საზოგადოებრივ მაუწყებელში მან შექმნა პროექტი „რაგბი აქაურობას“, რომლის მიზანი საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და რაგბის პოპულარიზაციაა. სასიამოვნოა, რომ პროექტი სასურველ შედეგებს აღწევს, კიდევ უფრო გასახარია, რომ პროექტის ავტორი ჟურნალისტი ლევან ჯობავაა, იგი საქართველოს რაგბის კავშირმა რაგბის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის დააჯილდოვა და რაც მთავარია, „რაგბი აქაურობას“ წლის საუკეთესო პროექტად იქნა აღიარებული.

ჩემთვის საინტერესოა ისიც, რომ ერთ-ერთი ექსპედიციის დროს ლევანმა ხობელი (პირველმაისელი), ჩემი მეზობელი, 16 წლის გიორგი ჭურღულია გაიცნო და მასში სარაგბო მონაცემები აღმოაჩინა. მამით ობოლი ბიჭი თბილისში წაიყვანა. გიორგი ძალიან დაინტერესდა რაგბით და მისი ოვალური ბურთით. მან რაგბის კლუბ „გორის ჯიქში“ სინჯები გაიარა, საჭირო მონაცემები გამოავლინა და მოწონება დაიმსახურა.

სამწვრთნელო შტაბმა მისი კლუბში დატოვება და დახმარება გადაწყვიტა. მწვრთნელებმა გიორგის მებრძოლი სული შეიცნეს და მოტივიზაციის მიზნით მას ერთი წლით სტიპენდიაც დაუნიშნეს... და განა მარტო ეს? ჩემპიონთა აკადემიამაც იზრუნა მასზე და ერთი წლით მისი უფასოდ დახმარება გადაწყვიტა ინდივიდუალური მწვრთნელით და საკვების დამატებით. ასე, რომ ეს უდიდესი პატივისცემაა მისადმი. მჯერა, ის თავს არ შეირცხვენს. ლევანის და ხობს ასახელებს, საქართველოში რაგბის განვითარებას სახელს მოუხვეჭს, ცნობილი რაგბისტი გახდება. წარმატებები მას. საამისოდ უდიდესი მადლობა პროექტის ავტორს.

ლევან, გილოცავთ დიდ გამარჯვებას, წარმატებები გაგმრავლებოდეს. საუკეთესო სურვილებით გეხმიანებით. მჯერა, ოპტიმისტური განწყობა, ცხოვრების ეპიცენტრში ყოფნა უფრო გაგიძლიერებთ შეგრძნებას იყოთ უფრო და უფრო რეიტინგული პროექტების ავტორი.

გთავაზობთ ინტერვიუს ლევან ჯობავასთან, რომელიც სატელეფონო შეხმიანებით მოხდა.

ლევან! მოგესალმებით და მივესალმები თქვენს პროექტს, ნამდვილად ძალიან დიდ საქმეს აკეთებთ. რა ედო საფუძვლად და რატომ გადაწყვიტეთ ამ პროექტის გაკეთება?

–თავდაპირველად იყო პროექტი „ჩვენ რაგბი მიგვაქვს მთაში“. პროექტის მიზანი მაღალმთიან რეგიონებში მოზარდებისთვის რაგბის გაცნობა იყო.

როგორ დაიწყეთ? განვლილ გზაზე მოგვიყევით.

–მოვიარეთ ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი და რაჭა. ამ ექსპედიციის შემდეგ დაიწყო პროექტი „რაგბი აქაურობას“. საბოლოო ჯამში საქართველოს რეგიონების 45 სოფელი მოვიარეთ, შევხვდით 1000-ზე მეტ მოზარდს. სარაგბო მონაცემების მქონენი შეირჩნენ...

„რაგბი აქაურობას“ დასახელდა წლის საუკეთესო პროექტად, რაც უდაოდ ძალიან დიდი მიღწევაა, გილოცავთ.

რამდენად რთული იყო წლის საუკეთესო პროექტის შექმნა?

–პროექტის შექმნა რთული ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ეს არაა მარტო ჩემი პროექტი, ეს არის ყველას პროექტი, ვისაც რაგბი უყვარს და მიაჩნია, რომ რეგიონებში ბავშვებისთვის სპორტი აუცილებელია. პროექტმა გაამართლა. ჩვენ წარმატებები მოვიპოვეთ, ის წლის საუკეთესო პროექტად იქნა აღიარებული.

მადლობა მოლოცვისთვის.

ფინანსები აუცილებელია და თუ გყავთ სპონსორები?

–ექსპედიციებისთვის თავდაპირველად თანხა ქართველმა მორაგბემ გიორგი ჟღენტმა და ვეტერანმა მორაგბემ ალექსი ჩიქოვანმა გამოგვიყო. შემდეგ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეს პროექტი ყოველკვირეულ რუბრიკად აქცია გადაცემაში „ჩვენი დილა“ ყოველ პარასკევს გადიოდა რეპორტაჟი სხვადასხვა რეგიონიდან. ამასთან ერთად, ვაწყობდით ფესტივალებს. ძალიან გვეხმარებოდა გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველოს რაგბის კავშირი და საქართველოს ოცწლამდელთა ნაკრები. ძალიან ბევრი მორაგბე და უბრალოდ, რაგბის ქომაგი გვიდგას გვერდში.

2017 წელს გრძელდება ეს პროექტი იგივე ფორმატით?

–2017 წელს პროექტი გრძელდება, მოვივლით 30 სოფელს და ამასთან ერთად, სხვადასხვა აქტივობებს ვგეგმავთ.

ლევან, ულევი სიხარული და წარმატებები გქონებოდეთ თქვენ და თქვენს ბიჭებს!

ესაუბრა ნანი კილასონია.

კრივი

ქალაქ თბილისში, კრივის კლუბ „დკდ“-ში სტარტი აიღო ჭაბუკთა შორის მეორე საერთაშორისო ტურნირმა კრივში, სადაც საქართველოს, ყაზახეთის, რუსეთის და უკრაინის ჭაბუკთა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. 63კგ-მდე წონით კატეგორიაში 2017 წლის დკდ-ს თასის მფლობელი ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ სასპორტო სკოლის მოსწავლე **ნიკა ჯაკონია** გახდა.

ღონისძიება კლუბი დკდ-ს (დუნდუების კრივის დარბაზი) ორგანიზებით ჩატარდა. ტურნირის პარტნიორები საქართველოს კრივის ეროვნული ფედერაცია და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო არიან.

„უკვე მერამდენედ ვარ ამაყი ხობელი სპორტსმენების გამარჯვებით. დღეს, **ნიკა ჯაკონიამ** გაგვახარა. ვულოცავ ნიკას და მის მწვრთნელებს **ედიკა თოდუას** და **თემურ აბულაძეს!** მუდამ გამარჯვებულს გევლოთ მთელი ცხოვრება ჩვენი ქვეყნისა და ხობის საკეთილდღეოდ“–ასე გამოეხმაურა პარლამენტის მაჟორიტარი წევრი **ირაკლი (დაჩი) ბერაია** ხობელი სპორტსმენის გამარჯვებას.

* * *

გამარჯვებულები გვყავს ასევე, კრივში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე. რომელიც ქ.გორში გაიმართა. ხობელი **ბაკურ ჩიქოვანი** 52 კგ. წონით კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა, ხოლო 63 კგ. წონით კატეგორიაში **ნიკა ჯაკონიამ** და 66 კგ. წონით კატეგორიაში **დათა შამათავამ** ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

13 აპრილს ბაქოში დაიწყო „აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასის“ გათამაშება

ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და აზერბაიჯანის ფედერაციის თასის მფლობელი ახალგაზრდებს შორის, ხობელი ნუგზარ **წურწუმია** გახდა.

* * *

ხობს საქართველოს მორიგი ჩემპიონები ჰყავს, **დავით გვასალია** (35კგ.) და **კოტე სიჭინავა** (73კგ.). ბრინჯაოს მედალს **გიორგი აგუმავა** (47კგ.) დაეუფლა.

სკოლის ასაკში ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონატი გურჯაანის ახლადგახსნილ სპორტკომპლექსში დაიწყო.

შეჯიბრების პირველ დღეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ათი წონითი კატეგორიის ფალავნები ასპარეზობდნენ.

* * *

2017 წელი ხობელმა სპორტსმენებმა გამარჯვებით დაიწყეს. 55კგ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონის პირველობა ახალგაზრდებს შორის 55კგ. წონით კატეგორიაში **ნუგზარ წურწუმიამ** მოიპოვა. ხოლო 60კგ. წონით კატეგორიაში მე-3 ადგილის მფლობელი **ჯონი ხეცურიანი გახდა**.

მკლავჭიდი

4 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო და საქართველოს ვეტერანი ჩემპიონი–ეს ის სინამდვილეა, რაც თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე მკლავჭიდში ხდება. ხობელების ტრიუმფალური გამარჯვება:

* 18 წლამდე 54 კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონი **დათუნა ჟიშკარიანი** გახდა.

* 18 წლამდე 54-კგ. წონით კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელია **ბუბა თირქია.**

* 18 წლამდე 60-კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონია **დიტო ბუკია**.

* 21-წლიანებში 60-კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონია **გიგა კოდუა**.

* 21-წლიანებში 60-კგ. წონით კატეგორიაში 2 ვერცხლის მედლის მფდობელი გახდა **გოჩა სიჭინავა**.

* 21-წლიანებში ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ–**ანრი ბუკია** და **ცოტნე ცხადაია**.

* ვეტერან სპორტსმენებში 90-კგ. წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონია **კობა თუთბერიძე**.

პროფესორ პაატა ცხადაიას 80 წლისთავისთვის

კოლხეთის ტოპონიმიკის უზადო მკვლევარი

გამოჩენილ ენათმეცნიერსა და პედაგოგს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ პაატა ცხადაიას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

იგი დაიბადა 1937 წლის 25 აპრილს, წალენჯიხის რაიონის სოფ. ჯვარში, პედაგოგების ოჯახში.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს მიაშურა. სტუდენტი პ. ცხადაია ინსტიტუტისა და ქალაქის მასშტაბით ეწეოდა მრავალფეროვან საქმიანობას. 1957 წელს შედგა მისი შეხვედრა აკაკი შანიძესთან, შემდეგ–გიორგი ახვლედიანთან, ლევან გოთუასთან, იოსებ გრიშაშვილთან. თითოეულ მათგანს მიუძღვნა ლექსი და გადაიღო მათთან სამახსოვრო სურათები. იყო ქუთაისის მწერალთა კავშირის ახალგაზრდულ ჯგუფის წევრი, ქართული თუ რუსული გაზეთების შტატგარეშე კორესპონდენტი. არჩეული იყო 1958 წელს გამართული რესპოდენტთა რესპუბლიკური ყრილობის დელეგატად.

ხობის ენციკლოპედიური წიგნის გამოცემის სამუშაო შეხვედრა, მარცხნიდან: ანზორ სიჭინავა, გოგიტა ჩიტაია, პაატა ცხადაია, ბუბა კუდავა და თამაზ ბერაძე.

1963 წელს პაატა ცხადაიამ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სემიტოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც აღმოსავლური ენებისა და ლიტერატურის სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა. არაბულის ცოდნაში სათანადო გამოცდის შემდეგ, 27 თვით, განამწესეს ხმელთაშუა ზღვის ნაპირას მდებარე საპორტო ქალაქის, ალეპო-ლატაკიის რკინიგზის მშენებლობაზე, არაბულის თარჯიმნად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიაში მუშაობა დაიწყო 1969 წლის 1 ივლისიდან. 1976 წლის 1 სექტემბრიდან პაატა ცხადაია გადაყვანილიქნა ტოპონიმიკის ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე. 1980 წლის 20 აპრილს დამტკიცდა ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე. პარალელურად, 1976-1980 წლებში ეკავა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის თანამდებობა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. 1984 წლის 10 აპრილიდან იმავე ლაბორატორიაში, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობა უჭირავს. 1987 წლის 9 ივლისს პაატა ცხადაია კონკურსის წესით დამტკიცდა უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგის, ხოლო შემდგომ თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ს/კ ლაბორატორიის გამგედ. 1995 წლიდან მუშაობდა თსუ სიღნაღის ფილიალში, სადაც 1998 წლიდან იყო კათედრის გამგე. კითხულობდა ლექციებს ახალ ქართულ ენაში, ენათმეცნიერების შესავალში, დიალექტოლოგიაში. ამჟამად თსუ ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელია.

პ. ცხადაიამ თვალსაჩინო ღვაწლი დასდო ქართველური ონომასტიკის შესწავლას. შრომისმოყვარეობა, მოუსვენრობა, მშობლიური წყალ-ჭალისადმი უზომო სიყვარული დაანათლა მას არსთა განმრიგემ. ამ უშრეტი ენერგიის მეცნიერმა, საწერი კალმით და ქაღალდებით „შეიარაღებულმა“, საქართველოს რამდენიმე კუთხე და უამრავი სოფელ-ქალაქი შემოიარა.

სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი შეუდგა დასავლეთ საქართველოს რეგიონების, კერძოდ, სამეგრელო-სამურზაყანოსა და რაჭა-ლეჩხუმის სისტემურ ტოპონიმიკურ აღწერას და ენერგიული კვლევა-ძიებით მეტად ძვირფასი მასალები შეკრიბა. ეს საველე მასალები დაედო საფუძვლად პაატა ცხადაიას წიგნებს. ამ დარგში, ამასთანავე, ანთროპონიმიისა და ზოონიმიის მთელ რიგ საკითხებზე, მას გამოქვეყნებული აქვს ორ ათეულზე მეტი წიგნი და რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომი.

ონომასტიკური ლიტერატურის ფრიად მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს პ. ცხადაიას მიერ შედგენილი და 1988 წელს ცალკე წიგნად გამოცემული „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, რაშიც მან თავი მოუყარა საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებულ 800-ზე მეტ ონომასტიკურ ტერმინს და ტერმინოლოგიურ გამოთქმას.

სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოდაა რეკომენდებული პ. ცხადაიას ავტორობით 2005 წელს გამოცემული წიგნი „ონომასტიკის შესავალი“. დამოუკიდებელ საენათმეცნიერო დისციპლინად მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე ქცეული ონომასტიკა, ანუ მოძღვრება საკუთარ სახელთა შესახებ, პ. ცხადაიას თქმით, აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე, საშუალო სკოლების მაღალ კლასებში. „ონომასტიკის შესავალში“ გამარტივებულად და შემოკლებით არის წარმოდგენილი თანამედროვე ონომასტიკის ძირითადი საკითხები და წარმოადგენს ქართულ ენაზე ამ დარგის სახელმძღვანელოს შექმნის პირველ ცდას.

1999 წელს გამოცემულ ნაშრომში _ „ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან–I“ მკვლევარს წარმოდგენილი აქვს რამდენიმე ათეული კოლხური გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგია. მოცემულია შუა საუკუნეების უცხოურ რუკებზე დაფიქსირებული ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცია და განმარტება.

1975 წელს პ. ცხადაიამ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია, თემაზე _ „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი)“. 2002 წლის 5 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე შედგა პაატა ცხადაიას სადოქტორო დისერტაციის დაცვა, თემაზე _ „საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში“. სადოქტორო დისერტაციაში გაშუქებული საკითხების აქტუალობას მკვლევარი ასე წარმოაჩენს: მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიის ძირითადი სიტყვაწარმოებითი მოდელების შესწავლის, იმერულ, გურულ და აჭარულ დიალექტებში ზანურის აპელატიური და ონიმური სუბსტრატის გამოვლენის, კოლხურ გვარსახელთა წარმოების ზოგ საკითხზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, მეგრულ-ლაზური საკუთარი სახელის ისტორია, სტრუქტურა, სემანტიკა და ლექსიკა აქამდე ვრცლად და ფართო კვლევის ობიექტად არავის გაუხდია. დღემდე ფაქტობრივად შეუსწავლელი იყო სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, „და ეს მაშინ, როცა აფხაზი მკვლევრები სწორედ ტოპონიმური მასალის გაყალბებით ცდილობენ, დაასაბუთონ, რომ კოლხთა ამ ძირძველი მიწის აბორიგენები იყვნენ არა ქართველები, არამედ აფხაზები“ (პ. ცხადაია, საკუთარი სახელი კოლხურ (ზანურ) ენაში (მეგრული ტოპონიმიის, ანთროპონიმისა და ზოონიმიის მასალების მიხედვით). ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2002, 3).

2003-2016 წლებში ქართველური ტოპონიმიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა და სპეციალისტების ბიბლიოთეკა „გეოგრაფიული სახელწოდებანი“-ს სერიით გამოცემული რამდენიმე წიგნით შეივსო. ამ სერიით პ. ცხადაიამ გამოსცა ზუგდიდის, ხობის, ჩხოროწყუს, მარტვილის, სენაკის, აბაშის, წალენჯიხის რაიონების (ამჟამად მუნიციპალიტეტების), აგრეთვე სამურზაყანოს, რაჭა-ლეჩხუმისა და აფხაზეთის სალექსიკონო-ტოპონიმური მასალები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ქართველი მკითხველი საქართველოს რეგიონებისა თუ ცალკეული რაიონების ტოპონიმთა ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონებით მაინცდამაინც განებივრებული არ არის, მაშინ ბატონ პაატა ცხადაიას ავტორობით დღემდე გამოცემული სამეგრელო-სამურზაყანოს, აფხაზეთისა და რაჭა-ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონები ჩვენი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ნამდვილად მნიშვნელოვან და ძვირფას შენაძენად უნდა მივიჩნიოთ.

ხობის მუნიციპალიტეტის ტოპონიმიის საკითხებით სხვადასხვა დროს არაერთი ქართველი მკვლევარი დაინტერესებულა. მათ შორის, უნდა დასახელდეს პროფესორ ალ. ღლონტის ნაშრომი, რომელმაც 1971 წელს ცალკე წიგნად გამოსცა კოლხეთის რაიონებში, მათ შორის ხობის რაიონში აღწერილ ტოპონიმთა მოკლე ლექსიკონი (ალ. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971 წ., 108 გვ.). ამ გამოკვლევას 2007 წელს შეემატა პროფესორ პაატა ცხადაიას წიგნი–,,სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ხობის რაიონი. ქ. ფოთი“, რომელიც ხობელების (და არა მარტო) ტოპონიმიკით დაინტერესებულ პირთათვის სამაგიდო წიგნად შემორჩება შთამომავლობას. ეს



არის ამ სერიით სამეგრელოს ცალკეული რაიონების ტოპონიმიურ მასალებზე გამოცემული რიგით III წიგნი, სადაც წარმოდგენილია ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის მიმოხილვა. ამას მოსდევს რესპოდენტთა სია, მათივე ასაკის ჩვენებით, და რაიონის ადმინისტრაციული ცენტრისა თუ ცალკეული სოფლების ტოპონიმთა საერთო ანბანის რიგზე დალაგებული ნუსხა.

წიგნში წარმოდგენილია სახელდებული ობიექტის მიკროლოკალიზაცია, მოტივაცია, ამოსავალი ფუძის ეტიმოლოგია და ისტორიული წყაროების მონაცემები (სადაც ეს შესაძლებელი იყო).

წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ ,,ოქრომრავალი კოლხეთის“ ცენტრალურ რეგიონში მდებარე ხობის რაიონის ტერიტორიაზე გადიოდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი საწყალოსნო და სახმელეთო გზა: ფოთი → რიონი →ყვირილა →სურამის უღელტეხილი →მტკვარი → ირანი →ინდოეთი.

ხობი, ხობისწყალი, ხორგა, ხორგისწყალი, ჭანისწყალი, კემხელი//ყულევი და სხვ. მოიხსენიება შუა საუკუნეების არაერთ წერილობით წყაროში.

ხობის რაიონის ტოპონიმიაში ასახვა ჰპოვა ბოლო ორი საუკუნის სოციალური ვითარების, სამეურნეო საქმიანობისა და ეთნოგრაფიული ყოფის ბევრმა საინტერესო სურათმა.

წლებია, ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტის გრიგოლის კურთხევით, მეცნიერები და მათ შორის ბატონი პაატა ცხადაია მუშაობს ხობის მონასტრის ისტორიის შესახებ ენციკლოპედიური ხასიათის წიგნის მომზადება და გამოცემისთვის.

სურვილს გამოვთქვამთ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კოლხეთის ტოპონიმიკის უზადო მკვლევარი, პროფესორი პაატა ცხადაია, დაბადებიდან მე-80 წლისთავზე, არჩეულ იქნას ხობის საპატიო მოქალაქედ.

იგორ კეკელია, ისტორიის დოქტორი, გოგიტა ჩიტაია, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტი.

საუბარი თინეიჯერთან

ცოტნე გუჩუას ბავშვობიდან ვიცნობ. გაზეთ „ხობის მოამბეს" რედაქციის ჟურნალისტებს პატარაობიდან თავს „გვაწონებდა" მის მიერ გამოგზავნილი საგაზეთო მასალებით: ჩანახატებით, ნარკვევებით, მოლოცვებით... ამასთან, გამოირჩეოდა ზრდილობით, უფროსებისადმი პატივისცემით, მეგობრებთან ურთიერთობით, წიგნისადმი სიყვარულით. დღემდე მაოცებს და მხიბლავს მისი მრავალმხრივი განათლება, წიგნიერება, სიახლეებისადმი სწრაფვა.

გთავაზობთ მის ბავშვურ, ლამაზ ბიოგრაფიასა და ინტერვიუს.

ცოტნე, მჯერა, ეს წელი ახალ წარმატებებთან და სიახლეებთან დაგაკავშირებს. ვიცი, წარმატებები ისე არ მოდის!..

წარმატებები ისე არ მოდის...

–დავიბადე 1999 წელს. ჰოროსკოპით ვარ მორიელი, ხასითშიც მაქვს ზოგიერთი რამ ზოდიაქოს ამ ნიშანის მახასიათებლებიდან. 3 წელი დავდიოდი ქ.ხობის №2 ბაღში, სადაც მყავდა ძალიან კარგი აღმზრდელები. ეს პერიოდი თბილ და კარგ მოგონებად მრჩება. შემდეგ კი სწავლა დავიწყე ქ.ხობის №2 საჯარო სკოლაში. ამჟამად მეთორმეტე კლასში ვსწავლობ. მალე სხვა ეტაპი დადგება ჩემს ცხოვრებაში. ალბათ სტუდენტი გავხდები. სკოლაში განვლილი წლები კი მაძლევს საშუალებას, ძალიან დიდი მადლობა ვუთხრა თითოეულ ჩემს მასწავლებელს და წარმატებები ვუსურვო მათ შემდგომი თაობების აღზრდაში. ვერც ერთი მოსწავლე ვერ გადაიხდის მასწავლებელთა ამაგს. დაფასება კი ნამდვილად შეიძლია. რაც შეეხება ჩემს ჩართულობას სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში, შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ აქტიური ვარ.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეექვსე კლასში მეგობრებთან ერთად მონაწილეობა საპატრიარქოს მიერ ორგანიზებულ კონკურსში „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას", ფინალისტები საპატრიარქომ დაგვაჯილდოვა სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით და დაგვპატიჟა ყაზბეგში, გერგეთის მიმართულებით ექსკურსიაზე. ძალიან გამორჩეული და საინტერესო იყო საერთაშორისო კონკურსი „ალიანტე", რომელშიც ჩართულია რამდენიმე ქვეყნის თინეიჯერი და იმართება „ნატოს" ეგიდით. იგი რამდენიმე რთული ეტაპისგან შედგება: მოიცავს თეორიულ ცოდნას „ნატოს" საერთაშორისო საქმიანობაზე, გასაუბრებას ინგლისური ენის ცოდნის დასადგენად, ტესტირებებს როგორც უნარჩვევებში, ასევე ზოგად განათლებაში. შემდგომი ეტაპია გასაუბრება და ამ ეტაპების წარმატებით გავლის შემდეგ ხვდები სპეციალურ ჯგუფში, და რამდენიმე დღე ცხოვრება გიწევს სამხედრო ბაზაზე. მე და ჩემი მეგობარი, ვაჟა შელია ფინალში გავედით და რამდენიმე დღე ვიმყოფებოდით სამხედრო ბაზაში–პალდოზე, სადაც მოგვიწია სპეციალური ნორმატივების ჩაბარება. ძალიან ბევრ კარგ ადამიანს დავუმეგობრდი. ჩემს სკოლელებთან ერთად ვთამაშობ ინტელექტუალურ კონკურსში: „რა, სად, როდის?" წარმატებები ხშირად გვაქვს. ჩემს მეგობრებთან: ცოტნე ქირიასთან და ბაკურ ბუკიასთან ერთად მეორე წელია მონაწილეობას ვღებულობდი საზოგადობრივი არხის მიერ ორგანიზებულ ლიტერატურულ კონკურსში „წიგნების თარო". ამ პროექტში ყოველწლიურად 132 სკოლა მონაწილეობს. შარშან ოთხი ნომინაციიდან ჩვენ გვერგო ერთ-ერთი–„ყველაზე გუნდურად მოთამაშეები" და 100 ლარიანი ვაუჩერები. წლევანდელ ციკლში ნახევარფინალში გავედით. გამარჯვებული გუნდი კემბრიჯში მიდის ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში. ეს კონკურსი ძალიან მომწონს.



წელს, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა ქვეყნის მასშტაბით ატარებდა კონკურს „ჩვენი მკითხველი". ჩვენი სკოლის გუნდმა რესპუბლიკის მასშტაბით საპრიზო ადგილი დავიკავეთ. რაც შეეხება, ოლიმპიადებს, თითქმის ყველა ოლიმპიადაში ვღებულობ მონაწილეობას. შარშან სასკოლო ოლიმპიადაში, ისტორიაში მიღწეული შედეგით მოვხვდი ბაქსვუდის ბანაკში. იქ გატარებული 21 დღე ალბათ ყველაზე საინტერესო პერიოდია ჩემს ცხოვრებაში. შეიძლება ითქვას, რომ ბაქსვუდის ბანაკში მოსახვედრად ოლიმპიადებზე ბრძოლა ღირს. ბაქსვუდი ცალკე სამყაროა–შესანიშნავი ატმოსფერო, ძალიან მაგარი, კარგი ბავშვები, საოცრი, სახალისო და დატვირთული დღეები. რამდენჯერმე ვიყავი ანაკლიის „მომავლის ბანაკშიც", იქაც შესანიშნავი მეგობრები შევიძინე. სისტემატიურად ვმონაწილეობ სამოქალაქო განათლების ოლიმპიადაში „მოქალაქე". შარშან ფინალში გავედი და კარგი საჩუქრებიც მივიღე, წელს კი სასკოლო ოლიმპიადაში 3 საგანში ფინალისტი გავხდი და შედეგებს ველოდები.

მიყვარს მუსიკა, ვუსმენ ყველა ჟანრს, თუმცა კლასიკას ვანიჭებ უპირატესობას, ზოგჯერ მეც ვუკრავ ფორტეპიანოზე, დამთავრებული მაქვს მუსიკალური ექვსწლედი.

ცოტნე! პირველ რიგში გილოცავ ამდენ წარმატებას, ვულოცავ შენს მასწავლებლებს, მეორე საჯარო სკოლას. დარწმუნებული ვარ, კითხვა გიყვარს, სხვანაირად შეუძლებელია ამდენ შეკითხვაზე სწორად უპასუხო. რა ჟანრის ლიტერატურას კითხულობ ყველაზე ხშირად?

–ზოგადად კითხვა მიყვარს, თითქმის ყველა ჟანრის ლიტერატურას ვკითხულობ, კარგი და საინტერესო ნაწარმოებები ყველა მიმართულებით შეიძლება მოიძიო. მთავარია, ძირითად არსს ჩაწვდე და შენს განწყობასთან იყოს ახლოს. ბოლო პერიოდში, ფანტასტიკამ გამიტაცა. საინტერესოდ იკითხება.

ბოლოს რა წაიკითხე? ამჟამად რას კითხულობ?

–ახლახან წავიკითხე დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია". ძალიან მოგეწონა. ამჟამად ვკითხულობ დენიელ კიზის „ბილი მილიგანის მრავალი გონება".

თუ გრჩება დრო მეგობრებთან გასართობად? რითი ერთობით?

–მეგობრებთან ყოფნა მიხარია და, რა თქმა უნდა, ყოველთვის ვპოულობ დროს მათთან გასართობად.

დაინტერესებული ხარ თუ არა კომპიუტერული თამაშებით? საშუალოდ რა დროს ატარებ კომპიუტერთან?

–კომპიუტერული თამაშები ჩემს თაობაში ძალიან პოპულარულია. როცა თავისუფალი დრო მაქვს, ხშირად ვჯდები კომპიუტერთან. თამაშის გარდა, კომპიუტერი მაძლევს საშუალებას, თანამედროვე საინფორმაციო სივრციდან მივიღო უზარმაზარი ინფორმაცია ნებისმიერ საკითხსა თუ თემაზე. მითუმეტეს ინგლისურ და რუსულ ენებს თუ ფლობ. ზოგჯერ თამაშიც განტვირთვისთვის ცუდი არ არის.

სპორტი თუ გიყვარს? შენ თვითონ თუ ხარ სპორტის რომელიმე სახეობაში ჩართული?

–ზოგადად, სპორტში მოყვარულის დონეზე ვარ ჩართული. ინტენსიურად მხოლოდ ჭადრაკს ვთამაშობ. მიყვარს კალათბურთი, ფეხბურთი, რაგბი და ჩოგბურთი. ჩვენს სკოლაში სრულფასოვანი სპორტული დარბაზი არ არის. კარგი იქნება, მომდევნო თაობებს მაინც თუ მიეცემა შესაძლებლობა ივარჯიშონ ნორმალურ დარბაზში და აქტიურად ჩაერთონ სპორტის ნებისმიერ სახეობაში.

როგორია შენი ერთი დღე?

–ვინაიდან წელს ვამთავრებ სკოლას, მაქვს როგორც გამოსაშვები, ასევე ეროვნული გამოცდები, რის გამოც დღის რეჟიმი ცოტა დატვირთული მაქვს. თუმცა, დროის დეფიციტსაც არ ვგრძნობ.

შენი მომავალი პროფესია...

–მომავლ პროფესიასთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. თუმცა უფრო აქტიურად ქირურგობაზე ვფიქრობ. მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი რთული, მაგრამ საუკეთესო პროფესიაა. ექიმის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი ხშირად ამარცხებს სიკვდილს, თუმცა დიდ პასუხისმგებლობასაც მოითხოვს. სხვა პროფესიებსაც განვიხილავ სამომავლოდ. საინფორმაციო ტექნოლოგიებიც ძალიან პერსპექტიულად მიმაჩნია. საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში მივიღებ.

შენი მიზანი...

–ჩემი მიზანია, არჩეულ პროფესიაში შევძლო საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე რეალიზაცია და განვლილი გზით დავტოვო კეთილი კვალი. ადამიანები გაკეთებული საქმეებით ფასდებიან.

ოცნება...

–შინაგანად რეალისტი ვარ, ამიტომაც განსაკუთრებული ოცნებები არ მაქვს, თუმცა ამ წელს ჩემი მთავარი ოცნება, რა თქმა უნდა, ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარებაა.

ფრაზა, რომელსაც ყველაზე ხშირად ამბობ. შენი საყვარელი გამონათქვამი.

–ბევრი გამონათქვამი მომწონს, მაგრამ უფრო გამოვარჩევდი გაბრიელ გარსია მარკესის გამონათქვამს: „იცხოვრე, რომ მოყვე", რომელიც წიგნის სათაურადაც კი გამოიყენა.

რას დაამატებდი?

–მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მშობლები და ახლობლები აფხაზეთიდან არიან, მე აქ გავიზარდე. მიყვარს ხობი და ხობელები, აქ მყავს ძალიან კარგი და ბევრი მეგობარი. მინდა ყველა ხობელს ვუსურვო წარმატება.

თქვენ კი ძალიან დიდი მადლობა.

ესაუბრა
ნანი კილასონია

17 აპრილი–მიცვალებულთა მოსახსენიების დღე

კოლხურ-მეგრული ლექსიკონის შემქმნელი უკვდავია

მამანტი ძაძამია–ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი.

მორჩილების მონური ღიმილი, ნაცვლად თავისუფლებისა, ვერ შეგბედეს, ვერავინ გადმოგაბრალათ.

მათ იცოდნენ თქვენ, რომ ქართველთა მატეანის უპირველეს ენას იკვლევდით და კოლხეთის ისტორიის უფსკრულეთის ნაპრალებში აღმოჩენილ წინაპართა ნაფეხურებს შეჰყურებდით–უკვდავყოფით...

სულმნათმა მამანტი ბესარიონის ძემ, სიცოცხლეშივე აღიარებულმა მემატიანემ, კორიფემ, მშობელი ხალხის საფიცარმა მამულიშვილმა, მეცნიერული მემკვიდრეობით უკვდავყო რა საქართველოს და ქართველი ერის თვითმყოფადობა, ისტორია, კულტურა, თავადვე კაცობრიობის მარადიული ღირებულებების ჩაუმქრალ ვარსკვლავად გაბრწყინდა. ჩვენ ფაზისელ ცოტნეიდელებს გვეამაყება, რომ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ 2007 წლის 25 მაისს, მხარდაჭერის ისტორიული გადაწყვეტილებით, რეკომენდაცია გაუწია ფუნდამენტალური ნაშრომის „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვა წარმომავლობა“ 7 ტომეულის გამოცემას. სადღეისოდ დადასტურებულია, რომ უძველესი მეგრული ენა, ერთ-ერთი ქართველური ენაა და იგი ქართული სალიტერატურო თანამედროვე ენის წინამორბედ ენად გვევლინება, როგორც პროტო-ქართული-კოლხური ფენომენი. მეცნიერულ დასკვნებს ეხმიანება და იდენტურად ადასტურებს ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფრვა: ძველ კოლხური, ძველი. იბერიული ე.ი. ქართული სულმცირე 4000 წლოვანი „ოქროდამწერლობით“. ამდენად ღვთის წყალობით ნათელი გახდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა 40 საუკუნის წინათ ფუნქციონირებდა თავისი სახელმწიფოებრივი ენითა და დამწერლობით... რომ ძველ კოლხურ-მეგრული ენა კილო-კავი, თუ დიალექტი არასდროს ყოფილა. ამდენად ჭეშმარიტი ქართველისთვის შეურაცხმყოფელი ბრალდება „მეგრული რევანშისტული სეპარატიზმისა“ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და გონიერი მტრის, თუ უგუნური მოკეთის მიზეზით, საერთო ტკივილია, ერთიანი ქართული სხეულის ხერხემალშივე გადატეხის მიზნით ჩაფიქრებული... პროტო-ქართულ, ძველ კოლხურ, ძველ იბერიულ, ძველ მეგრულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ფაზისის კოლხეთის სამეცნიერო-საერო აკადემიაში, რომელშიც ცოდნის მაძიებელნი ევროპიდან და აზიიდან მოემართებოდნენ. სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსები და ორატორები ევგენიოსი და თემისტიოსი, ფაზისში შორეული კესარიიდან ჩამოსულები, აქ ცოდნის დაუფლებით ამაყობდნენ კიდეც, ურჩევდნენ რა სწავლა-განათლება მათ შეგირდებს სწორედ შორეულ კოლხეთში–ფაზისში მიეღოთ... ძველ კოლხურ (მეგრულ) ენაზე მეტყველებდნენ მედეა და იაზონი, აიეტი, კირკე, ქუჯი ეგრისელი, ლაზი მეფე გუბაზი. მსოფლიოში სახელგანთქმული ორატორები: აიეტი, ფარტაზი, წათე, რომელთაც ფაზისის აკადემია ჰქონდათ დამთავრებული. სადღეისოდ, ღვთის წყალობითა და ნებით ძველი კოლხური მეგრული ენა გაბრწყინდა და მკვდრეთით აღდგა ვითარცა წმინდა ლაზარე... გულწრფელად და გულმხურვალედ გმადლობთ ღვაწლმოსილო და ვალმოხდილო სულმნათო ბატონო მამანტი ჩვენ, თანამედროვენი, ფასდაუდებელი გამოკვლევებით და ნივთმტკიცებებით უკვდავების ნათელით რომ გაგვანათლეთ... მშობლიურ წალენჯიხელებთან ერთად–კაცმა ლეგენდამ, კაცმა მენცარმა–ჩქინ ტომბა კოჩიქ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღმაშენებლის საგალობლების ძალითა და იმედის ხატის ღვთივნაკურთი მადლით. ქართული თვითმყოფადი გენისა და ფენომენის სადიდებლად გფარავდეს უფალი, ძე ღვთისა იესო ქრისტე, სულიწმიდის მადლით გაბრწყინდეს ქართველი კაცის ნიჭიერება, რათა ისტორიული სამართლიანობით გაიხაროს „ყოველმა ქართველმა“, სიკეთემ–ცოტნეიდელ–ჭყონდიდელობამ გაიმარჯვოს ბოროტებაზე–შადიმან-ფარსადანობის სინდრომზე. დიდება უფალს იესო ქრისტეს, რადგან მეფობს და სუფევს უფალი! ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი, ღვთისმშობელი მარიამი, ზეციურ წმინდანთა დასი. მ.შ. კანონიზირებული საქართველოდან აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

უღრმესი პატივისცემითა და სამადლობელით შევთხოვთ მაღალ ღმერთს სამოთხეში იყოს ბატონი მამანტის წმიდა სული.

ნუგზარ ნადარაია,
ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის სახელით, აკადემიის პრეზიდენტი, ე.მ. დოქტორი, ფოთის, მარტვილის, ხობის, იყალთოს, ჩარგალის საპატიო მოქალაქე.

ხარიტონ (ხუტუ) გადელია

იტყვიან, დრო ყველა იარას აშუშებსო. ასეა, იარა ხორცდება, ტკივილი ნელდება და მოდის სიმშვიდე, რომელიც იარის გარშემო მშვიდად დაფიქრების და მოგონებების გაანალიზების საშუალებას იძლევა. თქვენი ამქვეყნიდან წასვლა საშინელი, გაუსაძლისი, მოუშუშებელი ტკივილი იყო. თქვენს თავკაცობას, რჩევა-დარიგებებს მიჩვეულნი დავიბენით და შევშინდით კიდეც. მაგრამ დრომ თავისი გაიტანა, უსაშველო ტკივილი ნელ-ნელა გაყუჩდა და სევდას და ლამაზ მოგონებებს დაუთმო ადგილი. გვენატრები, ძალიან გვენატრები მამა, ბაბუა, მეგობარო. კიდევ და კიდევ გვჭირდება თქვენი რჩევა-დარიგება, მხარში ამოდგომა. მაგრამ ამაყებიც ვართ, რადგან ასეთი დიდებული ადამიანის შთამომავლები გვქვია. მთელი თქვენი ცხოვრება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს შეალიეთ. იყავით პედაგოგი, სკოლის დირექტორი, ღირსეული ხელმძღვანელი, მრავალი თაობა აღუზარდეთ ჩვენს ქვეყანას. დღეს სიყვარულით გიხსენებენ თქვენი აღზრდილები, იყავით საუკეთესო მეუღლე, მამა, ბაბუა და კიდევ... განუმეორებელი თამადა–სუფრის თავკაცი.

ძალიან აკლია თქვენი დიდებული სადღეგრძელოები, იუმორი, მოლხენა ჩვენს ოჯახებში გამართულ წვეულებებს და არა მარტო ჩვენსას. გაიზარდნენ თქვენი შვილები, გამრავლდნენ და თავიანთ შვილებს გადასცემენ დიდი ბაბუის დიდ სახელს. განსაკუთრებით აღვნიშნავთ თქვენს მოსახელე-პატარა ხარიტონ გადელიას, რომელიც მეორე კურსის წარმატებული სტუდენტია. ასე, რომ თქვენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ჩვენ, როგორც მთელი ამ თორმეტი წლის განმავლობაში მოვდიოდით, ისევ ისე მოვალთ თქვენს საფლავზე, დაგინთებთ სანთლებს და ლოცვით შევთხოვთ უფალს, ნათელში ამყოფოს ჩვენი მშობლების სული.

ოჯახი.

სოფლის საამაყო, მადლიანი ქალი

ციალა ჭანტურია

ციალა ჭანტურია–გაბელია... ქალი, რომელიც მძიმე ავადმყოფობას ბოლომდე ებრძოდი. მიუხედავად მკურნალ-ექიმების მკაცრი მითითებებისა, მაინც ახალგაზრდობიდან მიჩვეულ შრომას ვერ ელეოდი.

გადის წლები, მაგრამ წარსული მოგონებები მაინც სიკვდილამდე რჩება. წარსულმა არ აპატია ჯაფითა და შრომით გადაღლილ გულს ბედნიერი ცხოვრება, ერთი წელია რაც მოულოდნელად დაკარგეთ საყვარელი მეუღლე, ვლადიმერ (გიგუშა) ჭანტურია. შენთვის საფიცარი „გიგუ“. იმ დღიდან ცხოვრების ხალისიც დაკარგე, შენი საფიქრალი მხოლოდ ერთი რამ იყო, მალე „გიგუსთან“ წასულიყავი, ყველა ფეხზე დადგა შენი სიცოცხლისთვის, მაგრამ სიკვდილმა სძლია სიცოცხლეს.

იტყვიან: „ცხოვრება ნულიდან დაიწყოო,“ ეს თქვენზე ყოფილა ნათქვამი. უკან არ დაგიხევიათ, ერთ პატარა ფიცრულში ცხოვრებისას, დღეს კი ამის შედეგად სოფელს ერთმანეთთან ახლოს სამი ძვირფასი სახლ-კარი გადმოჰყურებს. იქ შენი შვილები და შვილიშვილები ცხოვრობენ.

ჭანტურიების გვარს, ორი ძე–ანზორი და რეზო შესძინეთ, დააფრთიანეთ, ორივეს მიუჩინეთ სახლ-კარი. მეუღლესთან ერთად ძირძველი ფუძე აღადგინეთ–გაანახლეთ და იქ ცხოვრობდით. არ გაკლდათ შვილებისა და შენი მამისეული საგვარეულოს–გაბელიების ყურადღება.

ბოლოს შენი სიხარული კი შენი პატარა შვილთაშვილი სოფიო იყო.

იხსენებდი წარსულს, როგორ ეჭიდებოდი ბევრ სამუშაოს ერთად. ოჯახის საქმის გარდა, ორივე ცოლ-ქმარი მართავდით ჩაის საკრეფ მანქანას, თანაც იყავი საბავშვო ბაღის აღმზრდელ-მასწავლებელი. კარგი დედა, ბებია და განსაკუთრებით კი, სტუმართმოყვარე, გულუხვი მასპინძელ-დიასახლისი. გქონდა დოვლათიანი ოჯახი, ყველა მოსულ სტუმარს, ოჯახიდან სოფლის ნობათით სავსე კალათას ატანდი. იყავ მადლიანი, სიკეთით სავსე ქალი.

ვიხსენებთ ბოლო მხიარულ წვეულებას, ქორწინებიდან 50 წლის აღნიშვნას. გულით სიხარულს ვერ მალავდით ცოლ-ქმარი.

ციალა! როგორ დაგვაკლდით, თქვენ ორივენი ყველას დახმარების ხელს უწვდიდით, ეს იყო შენი ცხოვრებისეული თვისება, როგორც მადლიანი ქალბატონებისა. ყველაფერი ეს გადაღლილმა გულმა არ გაპატია.

ციალა! ბაღში შენმა აღზრდილმა ახალგაზრდებმა უკანასკნელ დღეს ხელით გატარეს და ისე მიგაცილეს სამუდამო სასუფეველთან.

ბედს ვერავინ ვერ გაექცევა, მეუღლესთან ერთად თქვენი ადგილი სამოთხეშია. მოგიგონებთ, აგინთებთ წმინდა სანთლებს.

ორივემ იძინეთ თქვენებურად დინჯად, მშვიდად, უხმაუროდ, სიკეთითა და სიყვარულით.

მშვიდობით.

შენი კარის მეზობლების სახელით
გულიანა ბუკია.
ზემო ქვალონი

ვახტანგ ნაჭყებია



ტკივილით მოვიდა ეს წელიწადი ჩვენს სანათესაოსა და სამეგობროში. მარდიულ სასუფეველში გადაინაცვლა ვახტანგ ნაჭყებიას სიცოცხლემ. მან ამქვეყნად ცხოვრებისთვის მხოლოდ 67 წელიწადი იკმარა, მაგრამ ისე იცხოვრა, დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგვყვება მასთან განშორების სევდა და წუხილი.

სრულიად ახალგაზრდამ შექმნა ოჯახი, ქალბატონ მზიასთან ერთად ორი ვაჟი დავითი და რამაზი აღზარდეს, მოყვასის მოყვარულები და ზრდილები. შვილიშვილითა და რძლებით გაიხარეს...

ვახტანგი პროფესიით მძღოლი იყო, ხობის №1 ავტოსატრანსპორტო საწარმოში 40 წელი ემსახურა საყვარელ პროფესიას. იგი ქ. ფოთის საგზაო სამშენებლო საწარმოს ემსახურებოდა და ხელმძღვანელ რეზო კვარაცხელიას მის მიმართ სამადლობელი არ ელეოდა...

მეხივით დაგვატყდა თავს ვახტანგის უცაბედად გარდაცვალება, დაგვიტოვა ცრემლი და ტკივილი, გულსდაწოლილი მოუშუშებელი დარდი და უსაშველო მონატრება.

ჩემო კარგო მეგობარო, ვახტანგ! შენ ცხოვრება ღირსეული ადამიანის სახელით დაასრულე და იქ დასახლდი, რასაც სამუდამო სასუფეველი, მარადიული უკვდავება ჰქვია. ნათქვამია „წასვლა ისე, როგორც დაბადება, უფლის ნებაა“.

უფალს ვევედრებით, რომ დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი.

გიგლა კვიკვინია.

როცა საჭეს მართავ

პასუხისმგებლობა აწმყოსა და მომავლის წინაშე

რაც დრო გადის, უფრო და უფრო შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში ავტომობილი. მისმა მფლობელებმა ხშირად იციან თქმა, დიდი შეჩვევა იცის ავტომანქანამ, ოჯახის წევრივით ხდება, მისგან მრავალი ნატვრის ასრულება შეიძლებაო. მაგრამ ყველა შემთხვევაში ასეა?

მკითხველო, მოდით გავიხსენოთ, მარტო ბოლო პერიოდში რამდენი ცრემლისა და მოთქმის, დედების გოდების მომსწრენი ვართ ორივენი? ყველა დამეთანხმება რამდენ სინანულით სათქმელს აღძრავს ადამიანში დიდი, დაუოკებელი ტკივილი და სევდა, მით უფრო მაშინ, როცა ჭირის გამზიარებელი უამრავია და ვერც ერთს გამოსავალი ვერ მოუძებნია, და რაც უარესია, მომავალშიც სასიკეთოს და სანუგეშოს ვერაფერს ხედავს... განა ასე არ არის, როცა ოჯახის ერთადერთი იმედი საღსალამათი ახალგაზრდა კაცი (და არამარტო) ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი ხდება. თითქოს ყელში ბურთი გაგეჩხირაო, ცრემლი შრება, როცა იგებ, რომ ეს სიმთვრალეში ან ნასვამ მდგომარეობაში სიჩქარის გადაჭარბების გამო მოხდა. ოჯახს ეკარგება იმედი, კოლექტივს აკლდება წევრი, შვილებს–მამა, ქალს–მეუღლე, დედას–შვილი და ვინ მოსთვლის როგორია ის განცდა, რაც ამ დროს ადამიანს ეუფლება.

რატომ ვურიგდებით ამდენ ადამიანთა დანაკარგებს, რატომ ვთხოვთ ოჯახში შემოსულ სტუმარს ერთი ჭიქა ღვინოს დალევას, რომელიც შემდეგ მისთვის საბედისწერო და უკანასკნელი აღმოჩნდება. როგორ ვისვენებთ ის ადამიანები, ვისთანაც იგი ქეიფობდა, მაღალფარდოვან სადღეგრძელოებს ამბობდა.

როგორც ამასწინანდელი სტატისტიკა გვეუბნება, გასულ წელს ავტოსაგზაო შემთხვევამ რესპუბლიკაში ექვსი ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ვინ იცის ეს ციფრი დღეს რამდენადაა გაზრდილი. რატომ, რისთვის? უფრო მეტიც, ვინ გაარჩევს აქედან რამდენია სრულიად უდანაშაულო, ქვეითად მოსიარულე, ბავშვი. და რატომ არ გვახსოვს შაოსან ქალთა სახეები, დედების ცრემლი, როცა საჭეს ნასვამი ვუზივართ, იქნებ ეს წერილი იმათი გულისტკივილის გამოხატულებაცაა, ვინც ციხეში ზის და ნანობს, ან იმ ადამიანთა სინანულის გამოთქმა, რომლებმაც დაკარგეს ყველაფერი, რისთვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩქარობდნენ, სამსახური, თანამდებობა, უფრო მეტიც, დაკარგეს მორალი, ადამიანობა და ზნეობამოშლილებმა შეიწირეს უდანაშაულო სიცოცხლე, რომელიც ერთხელ გვეძლევა და, რომელსაც მთელი ჩვენი ცხოვრება ვესათუთებით. იქნებ ამაზე დაფიქრდნენ ის ადამიანები, რომლებიც გზაჯვარედინზე დგანან, ხელთ უპყრიათ კვერთხი და შეუძლიათ მდგომარეობის დამუხრუჭება. არ არის დასამალი, რომ ისინი ზოგჯერ (ამ ბოლო დროს უფრო ნაკლებად) თვალს ხუჭავენ საგზაო წესრიგის დამრღვევებზე, აქაო და ხელმძღვანელი მუშაკია, ნაცნობი და ნათესავიო. როცა ყველაფერი დამთავრდება კარგად არჩევენ, ვინ იყო დამნაშავე და რომ ავარიის მიზეზი ავტომანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვა, ავტომანქანის გაუმართაობა, მოუწესრიგებელი გზა, გადაჭარბებული სიჩქარე იყო. ისეთ პატარა მუნიციპალიტეტში, როგორიც ჩვენია და სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, ღმერთმა დაგვიფაროს ქართველებმა ურთიერთპატივისცემა და მეგობრობის თვისებები დავკარგოთ, მაგრამ, როცა იგი კანონს, საქვეყნო საქმეს და მით უმეტეს, ადამიანის სიცოცხლეს, გამოუსწორებელ დანაშაულს ეხება,



შეურიგებელნი უნდა ვიყოთ.

ეს პატარა წერილი არავის ჭკუის სწავლებას არ გულისხმობს, არამედ იმ შაოსანი ქალების წუხილის, ცრემლების საზღაურად, იმ დიდი დანაკლისის გამო დაიწერა, რასაც თითოეული ჩვენთაგანი, სამწუხაროდ, ხშირად განვიცდით. როცა ასეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, ყველამ უნდა ვიფიქროთ საკუთარი აზროვნების „მოწესრიგებაზე“, რომ ეს საერთო საქმეს დაეტყოს და როცა საჭეს ვუზივართ ვიცოდეთ, ეს მარტო მანქანის მართვა როდია, არამედ პასუხისმგებლობაა, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

მერი ლაგვილავა.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

დანართი 1

№-	ქონების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	სავარაუდო ფართი კვ.მ	აუდიტორული შეფასება (ლარი)	ბიჯი%	„ბე“	შენიშვნა
1	გრანიტის ფილები	1975	150	1500	150	150	
2	ნოჯიხევის ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის ნაწილი	1960	180	250	25	25	

განმეორებითი აუქციონი

დანართი 2

№-	ქონების დასახელება	ექსპლუატაციაში შესვლის წელი	სავარაუდო წონა ტონა	აუდიტორული შეფასება (ლარი)	საპრივატიზებო ფასი	ბიჯი%	„ბე“	ბილეთის ფასი	შენიშვნა
1	ზუბის სასოფლო კლუბის ჯართი	-	4	480	240	10%	10%	20	

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2017 წლის 11 მაისი 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები:ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო - 300403376, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი-ლამზირა თოდუა -ტელ-599-85-60-91.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ხობის მუნიციპალიტეტის ბეჭდვითი ორგანო
გამომცემელი: ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი.
სარედაქციო კოლეგია: მერი ლაგვილავა (ნომრის პასუხისმგებელი მორიგე), ნანი კილასონია, როზეტა შულაია, ბორის ბერაია, ბეჟან ნადარაია, ირაკლი შონია, თამთა ბუკია. კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივ ცენტრში. ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57; 577 21-41-44. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru.
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი№20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.